

F 171  
1978

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო  
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



გაქანებუთა და ინსტრუქციათა  
კ რ ე ბ უ ლ ი

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

№ 5

მაისი — МАЙ



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის

1978 წლის 2 თებერვლის  
 ერთობლივი დადგენილება

ლენინური კომკავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში სასკოლო ბიბლიოთეკების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის ჩატარების შესახებ

F 4523

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნო და საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმში აღნიშნავენ, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის, შრომისადმი სიყვარულის ჩანერგვისა და ცოდნის გაღრმავებისათვის გარკვეული სახის ღონისძიებებს ატარებენ რესპუბლიკის სასკოლო ბიბლიოთეკები.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის დადგენილების „შრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლების შესახებ“ განსახორციელებლად სასკოლო ბიბლიოთეკებში ინერგება წიგნის პროპაგანდის მოწინავე ფორმები და მეთოდები, უფრო მჭიდრო და საქმიანი ხდება სასკოლო ბიბლიოთეკების მიერ სწავლა-აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი ერთობლივი ღონისძიებები. ბიბლიოთეკები კიდევ უფრო ღრმად სწავლობენ და აკმაყოფილებენ როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა გაზრდილ ინტერესებსა და მოთხოვნებს.

რესპუბლიკის მთელ რიგ სასკოლო ბიბლიოთეკებში ხორციელდება დიფერენციული მომსახურება ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით. უფრო ეფექტური ხდება ლიტერატურის პროპაგანდის ფორმები და მეთოდები, რისთვისაც ფართოდ დაიწყეს დიაფილმე-

კ. მარქსის სახ. საჯ. სსრ  
 სახელმწიფო რესპუბლიკ.  
 ბიბლიოთეკა



ბის, კინოფილმებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან, სსრკ ახალი კონსტიტუციის მიღებასთან და ლენინური კომპაგვირის შექმნის მე-60 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით, თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხისა და თემატურ საღამოებს, ყურნალ-გაზეთების განხილვებს, აწყობენ შეხვედრებს მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებთან, ომის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესებას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ“ დაკავშირებით; კერძოდ, იმ საკითხში, რომ შეიმუშაონ სახელმძღვანელოების სასკოლო საბიბლიოთეკო ფონდების შექმნისა და განახლების პერსპექტიული და წლიური გეგმები.

მიუხედავად ამისა, სასკოლო ბიბლიოთეკები ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ პასუხობენ სკკპ და საქართველოს კომპარტიის 25-ე ყრილობების მიერ დასახულ მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და შრომითი აღზრდის ამოცანებს;

მოსწავლეთა საბიბლიოთეკო მომსახურებისა და წიგნის პრობაგანდის საქმეში ჯერ კიდევ შიმჩნევა ნაკლოვანებები. დაბალ დონეზე დგას ბიბლიოთეკებში მოსწავლეთა წიგნით მომსახურების დონე. მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი დარჩენილია ბიბლიოთეკური მომსახურების გარეშე;

სასკოლო ბიბლიოთეკებში ჯერ კიდევ ვხვდებით არაკვალიფიციურ და არასპეციალისტ მუშაკებს; ეს გამოწვეულია იმით, რომ სახალხო განათლების სისტემაში ჯერ კიდევ არ არსებობს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკთა კადრების აღზრდის, განაწილებისა და გადამზადების ერთიანი დახვეწილი სისტემა;

არ ექცევა ყურადღება მოსწავლეთა პროფესიული მისწრაფებების განმსაზღვრელი კონკრეტული ფაქტორების შესწავლას, არ ხდება სხვადასხვა პროფესიათა დაუფლებისა და გამოყენების

ამსახველი მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალების აქტიური პროპაგანდა;

რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების სასკოლო ბიბლიოთეკებს არ გააჩნიათ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკების მეტი ნაწილი თითო პატარა ოთახშია მოთავსებული.

მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიები, საქართველოს ალკცენტრალური კომიტეტის სამდივნო და საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. ჩატარდეს კომკავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სასკოლო ბიბლიოთეკების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი;

2. დამტკიცდეს სასკოლო ბიბლიოთეკების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის დებულება (დანართი № 1);

3. დათვალიერება-კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი № 2);

4. დათვალიერება-კონკურსი ჩატარდეს ორ ტურად: 1 — სარაიონო (საქალაქო) 2 — რესპუბლიკური;

სარაიონო (საქალაქო) დათვალიერება-კონკურსი ჩატარდეს 1978 წლის 1 სექტემბრიდან 1979 წლის 1 აპრილამდე, ხოლო რესპუბლიკური შემაჯამებელი 1979 წლის 1 აპრილიდან 1 ივნისამდე;

5. ადგილებზე დათვალიერება-კონკურსის ჩატარების ხელმძღვანელობა და შედეგების შეჯამება დაევალოთ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებს, რაიონების (ქალაქების) კულტურის განყოფილებებს, კომკავშირის რაიონულ (საქალაქო) კომიტეტებსა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რაიონულ (საქალაქო) გამგეობებს.

6. დათვალიერება-კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შეიქმნას სარაიონო (საქალაქო) კომისიები. კომისიების შე-

შადგენლობის შესახებ ეცნობოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო-კომიტეტს 1978 წლის 1 მაისამდე;

7. გაზეთების: „სახალხო განათლების“, „ახალგაზრდა კომუნისტის“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსის მიმდინარეობის შესახებ;

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. მ. ოჩიგავა), საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს (ამხ. ა. კალანდარიშვილი), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. რ. ლარიბაშვილი) და საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას (ამხ. ი. ქუმსიშვილი) დააწესონ კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი —

მ. ჭინკლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი —

შ. შარტაძა

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი —

მ. თაქთაქიშვილი

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე —

ი. აბაშიძე



**ლენინური კომკავშირის შეჰმის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სასკოლო ბიბლიოთეკების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის**

**დეზულება**

სასკოლო ბიბლიოთეკების რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი ეძღვნება ლენინური კომკავშირის შეჰმის მე-60 წლისთავს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შორის წიგნის პროპაგანდის, იდეური დონისა და მკითხველთა მომსახურების ხარისხის შემდგომ ამაღლებას, მომავალი თაობის კომუნისტურ აღზრდასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლებას.

**დათვალიერება-კონკურსის ძირითადი ამოცანები**

— გაძლიერდეს სასკოლო ბიბლიოთეკების, როგორც მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში სკოლის პარტიული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციის საყრდენი ბაზის როლი, უზრუნველყოფილ იქნას თითოეული სასკოლო ბიბლიოთეკის აქტიური მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში კომუნისტური მშენებლობის იმ კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დასახა სკკპ 25-ე ყრილობამ;

— მიღწეულ იქნას სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის სახით ამ საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის გზით მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფების და ასაკის თავისებურებათა გათვალისწინებით;

— გაძლიერდეს მოსწავლეთა შორის პროპაგანდა იმ ლიტერატურისა, რომელიც ხელ შეუწყობს მათ სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას;

— მუდმივად გაიზარდოს მკითხველ-მოსწავლეთა რაოდენობა; მიღწეულ იქნას ის, რომ თითოეული მოსწავლის მიერ სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით სარგებლობას ქონდეს მიზნობრივი ხასიათი და ხელს უწყობდეს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდას;

— მკვეთრად ამაღლდეს მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული მომსახურების დონე, დროულად მიეწოდოს მათ პოლიტიკური, სამეცნიერო, პედაგოგიური, მეთოდური ლიტერატურა, ბიბლიოგრაფიული ცნობები და სხვა, მოსწავლეებს კლასგარეშე საკითხავი ისეთი ლიტერატურა, რომელიც მათ ხელს შეუწყობს სასწავლო-საპროგრამო მასალის ღრმად შესწავლა-ათვისებაში;

— სკოლის ღირექციის, მასწავლებლების, განსაკუთრებით კლასის ხელმძღვანელების დახმარებითა და მზრუნველობით ბიბლიოთეკარებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა მოსწავლე აუცილებლად სარგებლობდეს ბიბლიოთეკით, სისტემატურად და გეგმიურად კითხულობდეს წიგნს, გაიხადოს იგი თანამგზავრად, დაამხმარედ, მრჩეველად სწავლასა და ცხოვრებაში.

### დათვალიერება-კონკურსის პირობები

ლენინური კომკავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სასკოლო ბიბლიოთეკების რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს სსრ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკებს.

დათვალიერება-კონკურსში მონაწილე სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შეფასებასა და მათ შორის საუკეთესო ბიბლიოთეკების გამოსავლინებლად გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობები:

1. ბიბლიოთეკის წიგნად ფონდებში დაცული ძირითადი პარტიული დოკუმენტების, სკკპ 24-ე და 25-ე ყრილობების მასალების, სსრკ ახალი კონსტიტუციის, ლენინური კომკავშირის ისტორიის ამსახველი სასწავლო, პოპულარული და მხატვრული ლიტერატურის რაოდენობა და მისი ეფექტური გამოყენების ფორმები მოსწავლე ახალგაზრდობაში;

2. ბიბლიოთეკაში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობაზე

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მოძღვრების, ვ. ი. ლენინისა და მის თანამებრძოლთა რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი მასალების რაოდენობა და პოპულარიზაცია;

3. ბიბლიოთეკაში არსებული მხატვრული ლიტერატურისა და კლასიკარულ საკითხავი ლიტერატურის რაოდენობა და გამოყენების საშუალებანი;

4. პედაგოგიურ-მეთოდური, საბიბლიოთეკო საქმისა და წიგნთ-მცოდნეობის დარგის, კითხვის კულტურისა და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის საკითხებზე ლიტერატურის გამოყენების მეთოდები;

5. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ცნობილი დადგენილებების: 1. „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“, 2. „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ“ მოსწავლეებში პოპულარიზაციის მიზნით ბიბლიოთეკების საქმიანობა;

6. მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის თვალსაზრისით ატარებენ თუ არა სასკოლო ბიბლიოთეკები ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოებს, წიგნის განხილვას, ლიტერატურულ და ისტორიულ ადგილებში ექსკურსიებსა და ლაშქრობებს, შეხვედრებს მწერლებთან, მეცნიერებთან, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან, სამოქალაქო და სამამულო ომის მონაწილეებთან, შრომის მოწინავეებთან და სხვა;

7. წიგნის ნორჩ მოყვარულთა კლუბებისა და სექციების რაოდენობა, პიონერულ მოძრაობაში — „გაუფხანგრძლივით წიგნს სიცოცხლე“ — მონაწილეობა, აღდგენილი წიგნების რაოდენობა;

8. დათვალიერება-კონკურსის ჩატარების პერიოდში სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების, მკითხველ-მოსწავლეთა და წიგნის ბრუნვის კოეფიციენტის ზრდა;

9. 1978—1979 წლებში სასკოლო ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წიგნის უკეთ გამოყენებისათვის სკოლის ხელ-



შპდვანელობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა  
შინაარსი.

### დაჯილდოება

სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის ბიბლიოთეკები, რომლებიც სრულყოფილად უპასუხებენ დებულებით გათვალისწინებულ დათვალიერება-კონკურსის ძირითად პირობებს, მიაღწევენ კითხვის საქმეში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმასა და წიგნადი ფონდების ეფექტურად გამოყენებას.

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო სასკოლო ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკის მუშაკები, მათი წახალისების მიზნით, დაჯილდოვდებიან დაწესებული შესაბამისი სიგელებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

საუკეთესო ბიბლიოთეკართა ჯგუფი, გამოცდილების გაზიარების მიზნით, გაიგზავნება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს ბიბლიოთეკაში.

**დათვალიერება-კონკურსის რესპუბლიკური  
საორგანიზაციო კომიტეტის შემაჯანებლობა**

1. ლომიძე ზ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. ფაჩუაშვილი მ. . — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი;
3. ნადარეიშვილი ლ. — საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი (მოადგილე);
4. ფანჭულიძე გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი;
5. ოჩიგავა მ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელითი მუშაობის სამმართველოს უფროსი;
6. ლარიბაშვილი რ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგე;
7. კალანდარიშვილი ა. — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი;
8. ქუმსიშვილი ი. — საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე;
9. ბანძელაძე ე. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უფროსი ინსპექტორი;
10. გულდამაშვილი ე. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი;

11. მუხაშაერია გ. — საბავშვო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი;
12. რატიანი ნ. — ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი;
13. იოსელიანი ნ. — ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორი;
14. ჭანტურია ჯ. — წიგნის სახლის დირექტორი;
15. კიპაროძე გ. — კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების გამგე.

საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს,  
რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიისა და  
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის

1978 წლის 2 მარტის

და დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა № 2

ნორჩ შემოქმედთა I რესპუბლიკური შეკრება-სემინარის შედეგებისა და II რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარების შესახებ

საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა აღნიშნავენ, რომ 1976 წლის 8-10 მაისს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე ჩატარებულ ნორჩ შემოქმედთა I რესპუბლიკურ შეკრება-სემინარს დიდი მნიშვნელობა ქონდა მოსწავლეთა შემოქმედებითი ინტერესების ყოველმხრივი განვითარების ხელშეწყობისა და მომავალი მუშაობის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრისათვის.

შეკრება-სემინარმა გამოავლინა შემოქმედებითი ნიჭით და უნარით დაჯილდოებული მრავალი მოსწავლე, რომლებიც ამჟღავნებენ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასთან, სამშობლოს ისტორიულ წარსულსა და საბჭოთა ხალხის ხვალინდელ დღესთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემების სწორად გააზრებისა და მხატვრულად წარმოსახვის უნარს.

შეკრება-სემინარის მონაწილეთა მხატვრული ნამუშევრების დიდ ნაწილში იგრძნობა თანამედროვე ცხოვრების სიახლეებით, ადამიანის სულიერი სამყაროს დამახასიათებელი ნიშნებით დაინტერესება, ცნობისმოყვარეობა მათი სწორად შეცნობისა და შემოქმედებითი გააზრებისათვის.

შეკრება-სემინარში მონაწილეობა მიიღო 200-მდე მოსწავლემ და 60-მა მასწავლებელმა.

ნორჩ შემოქმედთა შეკრება-სემინარში მონაწილეთა კანდიდატურების შერჩევისა და ნამუშევრების წარმოდგენის საკითხს პასუხისმგებლობით მოექიდანენ: გორის, ბათუმის, ტყიბულის საქალაქო, ასპინძის, ახალციხის, მცხეთის, ვანის, ჩოხატაურის, სამტ-

რედის, გურჯანის, დუშეთის, გარდაბნის, ბორჯომის, ამბროლაურის, სიღნაღის, თერჯოლის, ლანჩხუთის, ცხინვალის რაიონული კომიტეტები.

შეკრება-სემინარის მუშაობას, რომელიც 9 სექციით იყო წარმოდგენილი ხელმძღვანელობდნენ მწერლები: რ. ინანიშვილი, ხ. ბერულავა, მ. კახიძე, ტ. ჭანტურია, ე. უბილავა, ა. ჩაჩიბაია, ე. კვიციანიშვილი, დ. ბედიანიძე, ნ. ქუთათელაძე, დოცენტი ქ. ბურჯანაძე.

სექციებსა და სემინარებზე გულახდილი, საქმიანი საუბარი გაიმართა ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრებზე, ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებზე, მწერლის ოსტატობაზე. ნორჩ შემოქმედებს მიეცათ პრაქტიკული ხასიათის რჩევა-დარიგებები შემოქმედებითი საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.

შეკრება-სემინარის დღეებში მოსწავლეებს შეხვდნენ: საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მდივნები: ამხ. ყ. შარტავა, ვ. ბაქრაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ამხ. ნ. ფოფხაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გრ. აბაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები: საკ. კომკავშირისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ნორჩ შემოქმედთა შეკრება-სემინარის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. დუმბაძე, ი. ნონეშვილი რუსთაველის პრემიის ლაურეატი, შ. ნიშნიანიძე, გამომცემლობა „განათლების“ გენერალური დირექტორი ხ. ბერულავა, ყურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გ. ჩარკვიანი, ყურნალ „დილას“ რედაქტორი მ. მაჭავარიანი, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი მ. ლებანიძე.

შეკრება-სემინარის მუშაობა გაუქმდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, საუკეთესო ავტორთა ნამუშევრები გამოქვეყნდა რესპუბლიკის ახალგაზრდულ პრესაში, პიონერთა სსახლის გაზეთში „გაზაფხული“.

შეკრება-სემინარში აქტიური მონაწილეობით გამოირჩეოდნენ: გორის რაიონის შინდისის საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ვაგნიძე, ვაგრის საშუალო სკოლის მოსწავლე ზ. მაღალაშვილი, ხაშურის რაიონის სურამის საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ტაბატაძე, ონის საშუალო სკოლის მოსწავლე თ. ჯაფარიძე, მცხეთის რაიონის მი-

საქციელის საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ძიგოშვილი, ქუთაისის  
პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა წრის წევ-  
რი ვ. ჭინჭარაძე, გურჯაანის რაიონის შრომის საშუალო სკოლის  
წრის წევრი ვ. გოჩიაშვილი, ბ. ქნელაძის სახ. პიონერთა და მოს-  
წავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიის  
წევრები: თ. ბოლქვაძე, ზ. ფალავანდიშვილი, ლ. კოტრიკაძე, დ. მალ-  
რაძე, ნ. გაბუნია, ნ. დარბაისელი და სხვები.

ამასთან ერთად, შეკრება-სემინარის ჩატარების საქმეში აღინიშ-  
ნა ზოგიერთი ნაკლოვანება.

შეკრება-სემინარის მონაწილეთა კანდიდატურები და ნამუშევ-  
რები დაგვიანებით წარმოადგინეს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის სა-  
ოლქო კომიტეტებმა და თბილისის რაიონულმა კომიტეტებმა.

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, სა-  
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართვე-  
ლოს მწერალთა კავშირის გამგეობა ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ტრადიციად დამკვიდრდეს ნორჩ შემოქმედთა რესპუბლი-  
კური შეკრება-სემინარის ჩატარება (2 წელიწადში ერთხელ).
2. დამტკიცდეს ნორჩ შემოქმედთა შეკრება-სემინარის საორ-  
განიზაციო კომიტეტი (დანართი № 1), რომელიც შეიმუშავებს ნორჩ  
შემოქმედებთან მუშაობის გაუმჯობესების რეკომენდაციებს,  
სრულყოფს რესპუბლიკური შეკრება-სემინარისათვის მზადებისა  
და ჩატარების პრაქტიკას, ტრადიციად აქცევს. საქალაქო და რაი-  
ონული შეკრება-სემინარების ჩატარებას.
3. ჩატარდეს ნორჩ შემოქმედთა II რესპუბლიკური შეკრება-  
სემინარი 1978 წლის 8—10 მაისს, ქ. თბილისში ბ. ქნელაძის სახ.  
პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე.
4. დამტკიცდეს ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკური შეკრება-  
სემინარის დებულება (დანართი № 2).
5. კონტროლი აღნიშნული დადგენილებების შესრულებაზე დაე-  
ვალოს საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე-

ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. რ. ლარიბაშვილი), საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. მ. ოჩიგავა) და საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს (ამხ. ჯ. ჩარკვიანი).

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი —

(შ. შარტაძე)

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი —

(მ. ჭინჭლაძე)

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე —

(ბრ. აბაშიძე)



ნორჩ შემოქმედთა II რესპუბლიკური შეკრება-სემინარის  
საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. ჩარკვიანი ჯ. ა. — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (თავმჯდომარე)
2. ლომიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ფაჩუაშვილი მ. ნ. — საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. ფოცხიშვილი მ. თ. — მწერალთა კავშირთან არსებული ახალგაზრდა მწერლების გაერთიანების „ირმის ნახტომის“ ხელმძღვანელი
5. ლარიბაშვილი რ. შ. — საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტი მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
6. ოჩიგავა მ. ი. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
7. ულენტი თ. გ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი
8. ბერულავა ხ. მ. — გამომცემლობა „განათლების“ გენერალური დირექტორი
9. შველიძე ნ. დ. — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი
10. ნინუა ჯ. ა. — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი
11. ჩხიკვიშვილი ა. ტ. — ახალგაზრდა მწერალი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის თანამშრომელი
12. კასრაძე ა. ი. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჰუმანიტარული განყოფილების გამგე
13. პაიჭაძე ლ. ს. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეთოდისტი
14. გოგუაძე მ. პ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეთოდისტი

F-1323

კ. მარქსის სახ. საჯ. მხარ.  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბიბლიოთეკა



## დ ე ბ უ ლ მ ბ ა

### ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკური შეკრება-სემინარის ჩატარების შესახებ

ნორჩ შემოქმედთა შეკრება-სემინარს ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს მწერალთა კავშირი ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე.

შეკრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სახლების, პიონერთა სახლებისა და სასახლეების ნორჩ შემოქმედთა ან ლიტერატურულ წრეებში გაერთიანებულ შემოქმედებითი მონაცემებით დაჯილდოებულ მოსწავლეებს და აქტივისტებს (ინდივიდუალურად, წრის ან პატარა ჯგუფების სახით, IV-დან X კლასის ჩათვლით).

### შეკრების მიზანია

გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭის, მწერლური ხედვისა და მდიდარი ფანტაზიის მქონე მოსწავლეები, ხელი შეუწყოს მათ კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდასა და მრავალმხრივ განათლებას, მათ შემდგომ შემოქმედებით დაოსტატებას, ფანტაზიის გამდიდრებას. გაუადვილოს თემის მიგნება, გამოუმუშაოს ჩანაფიქრის ორიგინალურად ხორცშესხმის, ხატოვნად გამოსახვის, ფრაზისა თუ ტექსტის გამართვის ჩვევა. დაუხვეწოს მხატვრული გემოვნება, სტიმული მისცეს მომავალ შემოქმედებით საქმიანობაში.

### მუშაობის შინაარსი, თემა, ქანრი, ფორმა

მოსწავლეს თავისი შემოქმედების ნიმუშები შეუძლია წარმოადგინოს ნებისმიერ თემაზე: წეროს იმაზე, რაც მისთვის ახლობელია, საკუთარი თვალით უნახავს, განუცდია, რაზედაც უფიქრია. თხზულებაში უნდა იგრძნობოდეს, ცხოვრებასთან ახალი მისვლა, დღევანდელობა.

ქანრი შეიძლება იყოს ნებისმიერი.



პოეზიის ნიმუშები — ლექსი, პოემა, ბალადა.

პროზის ნიმუშები — ესკიზი, ეტიუდი, მინიატურა, ჩანახატი, პეიზაჟი, ლიტერატურული პორტრეტი, მხატვრული ნარკვევი, დღე-ური, ნოველა, მოთხრობა, ფანტასტიკური თხზულება, იუმორისტული ჩანახატი, ოდა, ზღაპარი, იგავ-არაკი, კინომოთხრობა, სცენარი მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის, პიესა, ნახატი მოთხრობა, ასე მაგალითად:

ლიტერატურული პორტრეტი — გამოჩენილი მწერლის, ხელოვანის, მოღვაწის. მისი გარეგნობის ან შინაგანი შენების დამახასიათებელი დეტალის გამოსახვით.

მხატვრული ნარკვევი — ამსახველი მწერლის, ხელოვანის, საზოგადო მოღვაწის, რევოლუციისა თუ სამამულო ომის ვეტერანის, მოწინავე კომკავშირელის ან პიონერის, შრომის გმირის სულიერი, საბრძოლო თუ შრომითი ცხოვრება-შემოქმედებისა (პირადად მათთან, მათი ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან, თანასოფლელებთან და თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად ჩაწერილი მასალის მიხედვით).

სახოტბო პოეზიის ან პროზის ნიმუშები;

შრომის სადიდებლად — დაწერილი შრომის პროცესზე დაკვირვების, შრომითი პათოსის სილამაზის შეგრძნებით ნაქარნახევი.

პიროვნების სადიდებლად — მწერალსა თუ საზოგადო მოღვაწეზე, ხელოვანზე, ისტორიულ პირსა თუ შრომის გმირზე.

ბუნების სადიდებლად — ქალაქისა თუ სოფლის სურათები, ხედები ნატურის თავისთავადობის შენარჩუნებითა და სუბიექტური განწყობის გამოვლინებით.

ფანტასტიკური ნოველა და ზღაპარი — რომელშიც გამოკვეთილი იქნება: ადამიანი მომავალში, ადამიანი და მანქანა, ადამიანი და მედიცინა, ადამიანი და ოკეანე, ადამიანი და კოსმოსი, ტელეპათია.

თხზულებას უნდა გამოეძებნოს სასურველი ფორმა. საფუძვლად შეიძლება დაედოს ხალხური ზეპირსიტყვიერების მოტივიც — შემოქმედებითად.

### შეკრების ორგანიზაცია

შეკრება ჩატარდება ორ წელიწადში ერთხელ, შეჯამდება ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიურმა კოლექტივებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული ღონისძიების პრობაგანდა, სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში გამოავლინონ შემოქმედებითი მონაცემის მოსწავლეები, გააცნონ შეკრება-სემინარის ჩატარების პირობები და სხვა.

შეკრებებში მონაწილეობის მოსურნე მოსწავლემ თავისი შემოქმედების ნიმუშები უნდა წარუდგინოს წრის ხელმძღვანელს ან საგნის (ქართული ენისა და ლიტერატურის) მასწავლებელს.

სკოლის დირექციამ, საგნის მასწავლებელმა თუ წრის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყონ შერჩეული ნამუშევრების დროულად გადმოგზავნა ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

შეკრება-სემინარში მონაწილეობის მოსურნე მოსწავლეებს შეუძლიათ თავისი შემოქმედების ნიმუშები სასახლეში გადმოგზავნონ ინდივიდუალურადაც.

ნამუშევრების სატიტულე ფურცელზე უნდა დაიწეროს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, სკოლა, კლასი, ქვევით ბინის მისამართი, ელსმენის №, იქვე მიეწეროს „ნორჩ შემოქმედთა II რესპუბლიკური შეკრება-სემინარისათვის“.

ასევე სრულად უნდა დაიწეროს მასწავლებლის გვარი, სახელი, მამის სახელი.

ნორჩმა პოეტმა კრებულში უნდა შეიტანოს არა ნაკლებ 10 ლექსისა.

ნორჩმა პროზაიკოსმა — არა ნაკლებ 5 მცირე ფორმის თხზულებებისა, როგორცაა: ესკიზი, ეტიუდი, მინიატურა, იუმორესკა, იგავ-არაკი და სხვა, ხოლო შედარებით დიდი ფორმის თხზულებამოთხრობა, ნოველა, მხატვრული ნარკვევი — შეუძლია წარმოდგინოს ერთი, ორი ან მეტიც.

ნამუშევარი წარმოდგენილი იქნეს დაახლოებით საწერი ქალაქის ფორმატისა ან ცოტა მოზრდილი ზომის ხელნაწერი ყურნალის სახით. ტექსტი ჩაიწეროს ავტორის მიერ შავი ტუშით, ქართული კალიგრაფიისათვის დამახასიათებელი სადა, მრგლოვანი ასოებით, ზედმეტი ორნამენტირების გარეშე.



მასალა ჟურნალის ფურცლებზე დაიწეროს ცალმხრივად და ისე განლაგდეს რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს დეს ფურცლის ამოღება საგამოყენო სტენდზე მოსათავსებლად. სტამბურად შეკრული და აკინძული კალენკორის ყდიანი ჟურნალი არ მიიღება.

ავტორმა ნამუშევარი წარმოდგინოს არა რამოდენიმე რვეულის, არამედ ერთი კრებულის სახით (მასში შეუძლია შეიტანოს სხვადასხვა ქანრის, თემისა და მოცულობის თხზულება).

შეკრებაზე ჩატარდება: სექციური მუშაობა ქანრების მიხედვით, სემინარი — ნორჩი შემოქმედებისა და მათი მასწავლებლებისათვის.

- თემებზე: ა) ნორჩი შემოქმედის ლაბორატორია (მოსწავლეთათვის)  
 ბ) შემოქმედ ბავშვებთან მუშაობის თავისებურ შინაარსსა და ფორმაზე (შეკრებაში მონაწილე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ან ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელთათვის).

საუკეთესო ნამუშევართა ავტორები გამოძახებულ იქნებიან შეკრება-სემინარზე.

შეკრების მონაწილეებს ბინითა და კვებით უზრუნველყოფს ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე. გზის ხარჯები უნდა გაიღონ განათლების რაიონულმა და საქალაქო განყოფილებებმა.

შეკრებაზე შემოსული ნამუშევრები ავტორს არ დაუბრუნდება. მოსწავლეები, რომლებიც წარმატებას მოიპოვებენ, დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

**შენიშვნა:** შეკრებაში შესაძლოა წრემ მთლიანად მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ მოსწავლეთა ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იქნეს არა საერთო ხელნაწერი კრებულის ან აღმანახის სახით, არამედ წრის ყოველი წევრისა ინდივიდუალურად.

ნორჩ შემოქმედთა რესპუბლიკურ შეკრება-სემინარზე მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეთა ნამუშევრები გადმოგზავნილ უნდა იქნეს ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში 1978 წლის 1 აპრილამდე.

ნორჩ შემოქმედთა მეორე რესპუბლიკური შეკრება-სემინარის  
მონაწილეთათვის

გვარი, სახელი, მამის სახელი  
რაიონი

სკოლა კლასი

1. რამდენი წელია რაც ეწევი შემოქმედებით მუშაობას?
2. თავიდან იმ ქანრში წერდი, რომელშიც ამჟამად?
3. მივიღია თუ არა მონაწილეობა შემოქმედებითი ხასიათის სასკოლო, სარაიონო, საქალაქო ან რესპუბლიკურ ღონისძიებაში — დაჯილდოვდი თუ არა და რა ჯილდოთი?
4. როგორი ხასიათის წიგნების კითხვა გიყვარს — (მხატვრული, სათავგადასავლო, მეცნიერულ-პოპულარული, ტექნიკური და სხვა).
5. დაასახელე შენი საყვარელი მწერალი და წიგნი.
6. ხელოვნების რომელი ქანრი უფრო გიტაცებს: მუსიკა, თეატრი, კინო თუ სახვითი ხელოვნება?
7. რამ გიბიძგა დაგეწერა პირველი ლექსი ან მოთხრობა?
8. როგორ სწავლობ?
9. რა სახის კომკავშირული ან საზოგადოებრივი დავალება გაქვს?
10. რა გაქვს მიზნად სკოლის დამთავრების შემდეგ?
11. შენი სურვილები, წინადადებები.
12. საცხოვრებელი სახლის მისამართი, ელსმენი  
ხელის მოწერა, თარიღი



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს და ადგილობრივი მრავალეობისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური საწარმოების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის

1978 წლის 2 მარტის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 2-4

„საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და ობიექტებში მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადი განათლების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს 1974 წლის 30 აგვისტოს № 709/196 ერთობლივი ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის განვითარების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების დაჩქარების თაობაზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება მოითხოვს კადრების არამარტო პროფესიულ-ტექნიკურ, არამედ ზოგადი განათლების ღონისა და ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

საქართველოს სსრ განათლებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების კოლეგიები და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის მომსახურების სფეროს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ერთგვარი მუშაობა ჩაატარეს განათლების სამინისტროსა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს 1974 წლის 30 აგვისტოს ერთობლივი ბრძანების შესასრულებლად.

ამჟამად რესპუბლიკის საღამოს სკოლებში 572, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში 205 ახალგაზრდა სწავლობს.



მეთავე ხუთწლედის გასულ ორ წელიწადში საღამოსა და დაუსწრებელი სკოლა 825 ახალგაზრდამ დაამთავრა.

საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩასაბმელად სათანადო მუშაობას ატარებს აჭარის ასსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში შემავალი საწარმოები, ქალაქების: ქუთაისის, რუსთავის, წყალტუბოს, მახარაძის, რაიონების საქართველოს ავტოტექნომომსახურების სამმართველოები, რის შედეგად ახალგაზრდობის 80% სწავლობს საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში.

მიუხედავად ამისა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში არსებითი ნაკლოვანებებია ახალგაზრდობის ზოგადი მომზადების საქმეში. სამინისტროში არსებული მონაცემებით ამჟამად ამ სისტემაში 16-29 წლის ასაკის 10.749 ახალგაზრდა მუშაობს, მათგან სწავლებაში ჩაბმას ექვემდებარება, მაგრამ არსად არ სწავლობს 1000 კაცი.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეული ობიექტების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მომუშავე ახალგაზრდების საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ჩაბმას და მათი სწავლებისათვის საჭირო პირობების შექმნას, ხელს არ უწყობენ ახალგაზრდებს შრომისა და სწავლის ურთიერთშეთავსებაში; არ აძლევენ მათ კანონით დაწესებულ შეღავათებს, ხშირად ნორმის ზევით ტვირთავენ საწარმოო დავალებებით და ზეგანაკვეთურ საათებში ამუშავენ განსაკუთრებით თვისა და კვარტლის ბოლო დეკადაში.

ამის გამო ბევრგან ის მომუშავე ახალგაზრდები, რომლებსაც საშუალო განათლება არა აქვთ, არ სწავლობენ. ასე მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში 36 ახალგაზრდიდან 32-ს არა აქვს საშუალო განათლება და არც სწავლობს. გეგეჭკორის რაიონში 80 ასეთი ახალგაზრდიდან სწავლობს მხოლოდ 8. ანალოგიური მდგომარეობაა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, თბილისში, სამტრედიიაში, ხობში და სხვაგან.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და ორგანიზაციები არასაკმარისად ეხმარებიან საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებს სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში,

დამკვიდრებული არაა საშეფო მუშაობა, პრაქტიკაში ნელი ტემპით ინერგება დამრიგებლობა

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადი განათლების შემდგომი ამალგების მიზნით, განათლებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების კოლეგიებმა, პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდენტმა

### გადაწყვიტეს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს დაევალოთ:

ა) გააძლიერონ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში მომუშავე ახალგაზრდობაში საყოველთაო საშუალო განათლების პრობაგანდა, ყველა ახალგაზრდა მშრომელს განუმარტონ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მიღების წესები და პირობები, დაეხმარონ სწავლების ფორმის შერჩევაში;

ბ) მომავალშიც განაგრძონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების, მათი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების ქსელის გაფართოება, ახალგაზრდების შრომის პირობებთან დაახლოების გათვალისწინებით მოაწესრიგონ მათი მეცადინეობის რეჟიმი;

გ) იმ ახალგაზრდების სიები, რომლებიც უნდა ჩაებან სწავლაში, ყოველწლიურად ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით დასამტკიცებლად შეიტანონ სახალხო საბჭოების დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებში;

დ) გააუმჯობესონ საღამოს და დაუსწრებელი სკოლებისა და მათი ფილიალების მომარაგება სახელმძღვანელოებით, ლაბორატორიული მოწყობილობით, თვალსაჩინო მასალებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით;

ე) სადაც ეს აუცილებელია, მოსწავლეთა ზოგადი საშუალო მომზადება შეუხამონ პროფესიული კვალიფიკაციის ამალგებას;

ვ) საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების ხელმძღვანელებმა გააძლიერ-

რონ კონტროლი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე.

2. დაევალეთ საყოფაცხოვრებო მომსახურების აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების სამმართველოების უფროსებს ყველა ქვესაუწყებო ორგანიზაციისა და საწარმოს ხელმძღვანელებს, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მუშაკთა პროფკავშირების ადგილკომებს:

ა) ყოველწლიურად, წინასწარ, სასწავლო წლის დაწყებამდე განსაზღვრონ საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ჩასარიცხი ახალგაზრდების კონტინგენტი, სისტემატური კონტროლი დააწესონ მათ სწავლაზე, შეუფერხებლივ მისცენ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები, დროულად მიიღონ ზომები მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენისა და სკოლებიდან განთესვის აღსაკვეთად;

ბ) კოლექტივების სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმებში გაითვალისწინონ მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლების ღონისძიებები, კიდევ უფრო დანერგონ და განავითარონ ახალგაზრდობაზე გამოცდილი კადრის ოსტატების დამრიგებლობა;

გ) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის შეჯამებისას შრომით მაჩვენებლებთან ერთად გაითვალისწინონ მომუშავე ახალგაზრდების სწავლების მდგომარეობა;

დ) საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის ყველა საწარმოში შრომისა და სწავლის შემთავსებელ ახალგაზრდების მიმართ შექმნან საყოველთაო ზრუნვისა და ყურადღების ატმოსფერო, განამტკიცონ საქმიანი კონტაქტები საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებთან, გაუწიონ მათ საშეფო დახმარება სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, შენობების რემონტში, კაბინეტების მოწყობაში და ა. შ.

ე) საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების 1974 წლის 30 აგვისტოს № 709/196 ბრძანების შესრულების საქმეში ბოგდანოვ-

კის, გეგეჭკორის, სამტრედიის, ხობის რაიონების, ქალაქ თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებისა და აფხაზეთის ასსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალური მინისტროს მიერ გაწეული მუშაობა ჩაითვალოს არადაამაყმაყოფილებლად.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი

ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფესიული კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე

ო. დ. ჭინჭაძე

ე. ა. სოგოლავი

გ. ა. გუშგულაშვილი



ვაზაგოცევა

საქართველოს სსრ განათლების მინისტროს  
ტრი (ო. ჭინჭლაძე)

1978 წლის 10 მარტი

## დ ე გ უ ლ ე ბ ა

### საპარტველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექცია წარმოადგენს სამინისტროს აპარატის სტრუქტურულ დანაყოფს, რომელიც მუშაობს სამმართველოს უფლებით და უშუალოდ ექვემდებარება განათლების მინისტრს.

სახალხო განათლების ინსპექცია ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ სახალხო განათლების დარგში პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების, სსრკ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და მითითებათა შესრულებაზე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების განუხრელად დაცვაზე.

### სახალხო განათლების ინსპექციის მუშაობის შ ი ნ ა ა რ ს ი

1. სახალხო განათლების ინსპექცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სახალხო განათლების საკითხებზე პარტიის ყრილობათა გადაწყვეტილებებით, სსრკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, სსრკ და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრკ და საქართველოს სსრ მთავრობათა დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრკ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, არსებული დებულებით და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და სახალხო განათლების საკითხებზე.

2. სახალხო განათლების ინსპექცია თავის მუშაობას წარმართავს პარტიულობის, მეცნიერულობის, მემკვიდრეობითობის, ცხოვ-

რებასთან კავშირის პრინციპების საფუძველზე, რასაც თან ახლავს შესრულების სისტემატური შემოწმება და პრაქტიკული დახმარება ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

სახალხო განათლების ინსპექციის მუშაობის ეფექტურობის უმნიშვნელოვანესი პირობაა მიზანდასახული გეგმიურობა და სისტემატურობა, ყოველმხრივობა და საქმის მდგომარეობის ანალიზის მეცნიერულ-პედაგოგიური სიღრმე, შეფასების ობიექტურობა და დასკვნების უცილობლობა, პრინციპული მომთხოვნელობა და შემომოწმებელ პირთა მაღალი კომპეტენტურობა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელება.

3. დაკისრებული ამოცანებიდან გამომდინარე სახალხო განათლების ინსპექცია:

3.1. სისტემატურ კონტროლს აწესებს რესპუბლიკის განათლების ორგანოების მიერ ადგილებზე სახალხო განათლების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დირექტივების, სსრკ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და მითითებების შესრულებაზე.

3.2. სწავლობს რესპუბლიკის განათლების ორგანოების მუშაობას, დაქვემდებარებული ორგანიზაციების მართვის სრულყოფის, შინასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს.

3.3. თვალყურს ადევნებს მასწავლებელთა კადრების დანიშვნის, გადაყვანის თუ სამუშაოდან დათხოვნის საკითხებში დადგენილი წესებისა და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნილებათა ზუსტ დაცვას.

3.4. სისტემატურ კონტროლს აწესებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების განუხრელად შესრულებაზე, სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების მკაცრად დაცვაზე.

3. 5. ამოწმებს განათლების სამინისტროს აპარატში, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებში, სკოლებსა და სხვა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვის დადგენილი წესების დაცვას, დასმული საკითხების სწორად და დროულად გადაწყვეტის

მდგომარეობას და ყოველი წლის დასასრულს ანგარიშს უდგენს კოლეგიას ამ საქმეში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3.6. სისტემატურ კონტროლს აწესებს სამინისტროს აპარატში ზემდგომი სადირექტივო ორგანოებიდან შემოსული დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულებაზე; დებუტატთა წერილების, წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განხილვის მდგომარეობაზე, სამინისტროს კოლეგიის დადგენილებებისა და მინისტრის ბრძანებების შესრულებაზე.

3.7. კოორდინაციას უწევს სამინისტროს აპარატის მუშაკთა რესპუბლიკის ფარგლებში მივლინებებს, ადგენს წლიურ და კვარტალურ გრაფიკებს.

3.8. კონტროლს აწესებს სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების მიერ გეგმიური საკითხების დროულად შესრულებაზე.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციის უფლება აქვს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შესწავლისას გამოიყენოს სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკები.

5. სახალხო განათლების ინსპექციის სასკოლო ინსპექტორებს უფლება აქვთ:

5.1. სახალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებათა ხელმძღვანელებსა და ინსპექტორებს მისცენ მითითებანი და რეკომენდაციები სახალხო განათლების განყოფილებათა და დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

5.2. მოითხოვონ თანამდებობის პირთაგან დაწესებულებების და სახალხო განათლების საუწყებო განყოფილებათა ხელმძღვანელების საჭირო დოკუმენტები და მასალა, მოისმინონ მათი მოხსენებანი და განმარტებანი შემოწმების შედეგებზე, მისცენ მითითებანი ნაკლოვანებათა და დარღვევათა გამოსასწორებლად.

5.3. შეაჩერონ რაიონული (საქალაქო) განათლების განყოფილებათა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელების უკანონო განკარგულებანი და მოქმედებანი, რაზედაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ხელმძღვანელობას.

5.4. შეიტანონ წინადადებები დაქვემდებარებული ორგანოების მუშაკთა წახალისების მიზნით.

5.5. დასვან იმ მუშაკების სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი, რომელნიც არ შეეფერებიან დაკავებულ თანამდებობას.

6. სახალხო განათლების ინსპექციის სასკოლო ინსპექტორთა მუშაობის შინაარსი და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება ამ დებულებით და სსრკ განათლების მინისტრის 1972 წლის № 129 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით განათლების სამინისტროს სისტემის სასკოლო ინსპექციის შესახებ.

7. სახალხო განათლების ინსპექცია წლის ბოლოს ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს მინისტრს.

8. სახალხო განათლების ინსპექცია მუშაობს განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებული გეგმით.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ

# გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ზ რ ო ს

1978 წლის 13 მარტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 189

**რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებში კასპის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებაში მუშაობელთა განცხადებაზე მუშაობის სამედიცინო არსებული დარღვევების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 11 ნოემბრის № 1038 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებში უკანასკნელ ხანს გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს მშრომელთა წერილებზე მუშაობის სრულყოფისათვის. ერთგვარად გაუმჯობესდა ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, ობიექტურად და კანონიერად წყდება საკითხები, წერილთა უმრავლესობა, რომლებიც იგზავნება ადგილებზე, ძირითადად, განიხილება ხარისხიანად და სათანადო ვადებში, რამაც თავისთავად გამოიწვია მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობის შემცირება.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის რიგი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებების ხელმძღვანელი მუშაკები მუშაობაში კვლავ იჩენენ არაობიექტურობას მუშაკთა დანიშვნის, განპავეისუფლების, პედაგოგიური დატვირთვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტისას, არღვევენ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს, ზერელედ და უყურადღებოდ ექცევიან მშრომელთა თხოვნებსა და წინადადებებს, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოქალაქეთა შორის და განაპირობებს ამ რაიონებიდან დიდი რაოდენობით საჩივრებისა და განცხადებების თავმოყრას რესპუბლიკისა და კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში, რესპუბლიკური და საკავშირო პრესის რედაქციებში.

თერჯოლის რაიონიდან შემოსული განცხადება-საჩივრების შემოწმებით დადგინდა, რომ განათლების განყოფილების გამგემ აშ. რ. ზარნაძემ შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევით სხვადასხვა დროს სამუშაოდან გაანთავისუფლა სასკოლო ინსპექტორი რ. გუგუშვირიძე და 1-ლი სკოლის მწე რ. დოლაკიძე, რომელთა სა-

მუშაოზე აღდგენა მხოლოდ სასამართლოსა და განათლების სამინისტროს კატეგორიული ჩარევით მოხდა. ამავე განყოფილებაში უხეშად ირღვევა განათლების სამინისტროს მითითება მასწავლებელთა მცირე საათებზე დანიშნვის აკრძალვის შესახებ, თვითნებურად, ხდება მასწავლებელთათვის ტარიფიკაციით განკუთვნილი საათების ჩამორთმევა, კვლავ ადგილი აქვს სკოლაში არასპეციალისტ მასწავლებელთა დანიშვნას. რაიონის სახალხო განათლების მუშაკთა განცხადება-საჩივრების ზემდგომ ინსტანციებში გაგზავნას განაპირობებს აგრეთვე განათლების განყოფილებისა და სკოლების დირექტორების მიერ რაიონში სამუშაოდ განაწილებულ ახალ კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის და მათთვის სათანადო პირობების შექმნის საქმისადმი შეუწყნარებელი გულგრილობა და უპასუხისმგებლობა.

ასევე დიდი რაოდენობით საჩივრები გამოიწვია ახალციხის, გაგრის და ზნაურის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეების ო. მესხიძის, ბ. ჩაკაბერიასა და ი. ვაგლოვის არაკვალიფიციურმა, შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მოქ. ოვსეპიანის, თედტაევის, ვარვაშტიანის, ჩხეიძისა და სხვათა სამუშაოდან გათავისუფლების დროს.

მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს განათლების სამინისტროში და სხვა ზემდგომ ორგანოებში შემოსულ მოქალაქეთა გაცხადება-საჩივრების დიდი რაოდენობა აფხაზეთის ასსრ, ქ. თბილისის, ქ. ჭიათურის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თერჯოლის, ახმეტის რაიონებიდან.

მკვეთრ გაუმჯობესებას მოითხოვს აგრეთვე სახალხო განათლების ორგანოებში შესულ მშრომელთა წერილებზე მუშაობის ხარისხი. სერიოზული ნაკლოვანებებია ამ მხრივ ბოლნისისა და ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებების მუშაობაში (ამხ. ამხ. გობეჯიშვილი, ნაროზაული). დაბალია საქმის წარმოების კულტურა, ირღვევა მშრომელთა წერილებზე მუშაობის დადგენილი წესები და ვადები, ადგილი აქვს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების ზერელედ შემოწმებისა და არაკვალიფიციურად რეაგირების შემთხვევებს, დაუმთავრებელი განცხადებების საქმეში გაშვებას და სხვ.



აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, ქ. თბილისის მათდამი დაქვემდებარებული რაიონების, ამბროლაურის, ციხის, დმანისის, თელავის, თიანეთისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილების მუშაკები ჯერ კიდევ სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან განათლების სამინისტროდან გადაგზავნილი განცხადება-საჩივრების შესწავლას, აგვიანებენ პასუხებს, არასრულყოფილად სწავლობენ განცხადებებში მოყვანილ ფაქტებს, რაც იწვევს განათლების სამინისტროს მხრიდან ხელახლად შეკითხვებს, შესხენებებს და შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობის დადგენილი ვადების დარღვევას, აპარატის მუშაკთა ზედმეტ გადატვირთვას.

ზემოაღნიშნული დარღვევები მიუთითებენ იმაზე, რომ დასახელებული განყოფილებების ხელმძღვანელები არ ანალიზებენ და არ სახავენ სათანადო ღონისძიებებს მოქალაქეთა საჩივრების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, სათანადო შეფასებას არ აძლევენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ეგუებიან ამ საქმეში განყოფილების მუშაკთა უპასუხისმგებლობას, არ ასრულებენ სადირექტივო ორგანოების მითითებებს მშრომელთა წერილებზე მუშაობის სრულყოფის შესახებ და არ აკეთებენ სათანადო დასკვნებს ამ საკითხზე განათლების სამინისტროს 1976 წლის 11 ნოემბრის № 1038 ბრძანებიდან და 1977 წლის 15 სექტემბრის ცირკულარული წერილიდან. ყოველივე ამან განაპირობა მომთხოვნელობის შესუსტება და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონე.

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :**

1. ეს ბრძანება დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილების გამგეებს, რომლებმაც:

1.1. მშრომელთა წინადადებებზე, განცხადებებზე და საჩივრებზე მუშაობისას მკაცრად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სკკპ 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, ამავე საკითხზე საქართველოს განათლების მინისტ-

ტრის 1976 წლის 11 ნოემბრის № 1038 და აღნიშნული ბრძანებებით და მათში გათვალისწინებული მითითებებით.

1.2. გულდასმით შეისწავლონ და გააანალიზონ განცხადება-საჩივრების წარმომშობი მიზეზები და გაატარონ სათანადო ღონისძიებები ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად. სამინისტროებისა და განყოფილებების მუშაკთა დაკისრებულ მოვალეობისადმი პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებით და იმ პირთა მიმართ უმკაცრესი ზომების მიღებით, რომლებიც ზერელედ და უგულვისყუროდ ეკიდებიან მშრომელთა წერილებზე მუშაობას, იჩენენ არაობიექტურობას და არაკომპეტენტურობას, მიაღწიონ საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას.

1.3. საგანგებო კონტროლი დააწესონ ზემდგომი ორგანოებიდან გადმოგზავნილი განცხადება-საჩივრების შესწავლასა და რეაგირებაზე, მიღებული დავალებების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.

1.4. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სახალხო განათლების დარგში მომუშავე პასუხისმგებელ მუშაკთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლება.

1.5. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე საგანგებოდ განიხილონ აღნიშნული ბრძანება, გააანალიზონ მშრომელთა წერილებზე მუშაობის მდგომარეობა და დასახონ ეფექტური ღონისძიებანი ამ საქმეში სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგის დასამყარებლად.

2. მშრომელთა წერილებზე მუშაობის საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის ახმეტის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს დ. ნაროზაულს და ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოვალეობის დროებით შემსრულებელს ს. ალიევს გამოეცხადოთ საყვედური. ამბროლაურის, დმანისის, თელავის, თიანეთის განათლების განყოფილების გამგეებს ს. ცირეკიძეს, მ. თაბაგარს, ა. თვალაიშვილს, დ. გონჯილაშვილს მიეთითოთ.

3. მასწავლებელთა კადრების შერჩევა-განაწილებისა და მათი პედაგოგიური დატვირთვის საქმეში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილების გამგე რ. ზარნაძე პირობით იქნას დატოვებული დაკავებულ თანამდებო-

ბაზე სასწავლო წლის ბოლომდე და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომს.

4. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების უფროსებმა მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფით მი-აღწიონ ადგილობრივი განათლების ორგანოებიდან დროულ და ოპერატიულ ინფორმაციებს სახალხო განათლების აქტუალურ სა-კითხებზე ზედმეტი, გაუმართლებელი მიმოწერისა და სხვადასხვა მეორეხარისხოვანი მასალების მოთხოვნის გარეშე. ამასთან ერთად, უმკაცრესი კონტროლი დააწესონ ადგილებზე სამემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაზე, განათლების სამინისტროს დავალებების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე.

5. სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. კ. სუჯაშვილი) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-ლეგიის 1978 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება.

მინისტრი

ო. ჭინკლაძე

## განათლების სამინისტროს

1978 წლის 13 მარტის


ბრძანება № 190

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკო-  
ლებში სამხედრო-სასწავლო იარაღების შენახვისა და  
დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთმა სა-  
ხალხო განათლების განყოფილებამ და სკოლის ხელმძღვანელმა  
საგრძობლად შეანელა ყურადღება სამხედრო-სასწავლო იარა-  
ღების მოვლის, შენახვისა და დაცვისადმი, რის შედეგად 1977 წელს  
დუშეთის რაიონის სოფ. ქვეშეთისა და თბილისის 140-ე საშუალო  
სკოლებში ადგილი ჰქონდა იარაღების გატაცების შემთხვევებს.

იარაღების გატაცების მთავარი მიზეზია სსრ კავშირის თავ-  
დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული იარაღების შენახვის,  
მოვლისა და დაცვის ინსტრუქციის და აღნიშნულ საკითხზე სსრ  
კავშირის განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათ-  
ლების სამინისტროს ბრძანებების მოთხოვნათა შეუსრულებლობა-  
თბილისის 48-ე, 52-ე, 62-ე, 64-ე, მე-80, 84-ე, 85-ე, 86-ე,  
89-ე, 90-ე, 91-ე, 92-ე, 93-ე, 94-ე, 97-ე, 99-ე, 115-ე, 129-ე, 147-ე,  
გალის, ხელვაჩაურის, ხულოს, აბაშის, ახმეტის, ახალქალაქის, ლა-  
გოდეხის, მცხეთის, ქარელის, ონის, სიღნაღის, წითელწყაროს, ხა-  
შურის, წყალტუბოს, ცხაკაიას რაიონების ბევრ სკოლაში იარაღე-  
ბის შესანახი ოთახები ტექნიკურად მოუწყობელია, სუსტია კარე-  
ბი, მასზე გადაკრული არაა ლითონის ფურცელი, ფანჯრებს გაკეთე-  
ბული არა აქვს რკინის გისოსები, კედელი და ჭერი არაკაპიტალუ-  
რია, რკინის კარაღებზე დაყენებული არაა გამაფრთხილებელი სიგ-  
ნალიზაცია.

ოჩამჩირის, დმანისის, კასპის, ლაგოდეხის, საჩხერის, ცაგერის  
რაიონების ბევრ სკოლაში დღემდე მოუწყვრივებელია იარაღების  
შესანახ ოთახებში გამაფრთხილებელი სიგნალიზაციის დაყენება,



ხოლო რესპუბლიკის ბევრ სკოლაში გამაფრთხილებელი სიგნალი-  
ზაცია გამოყენილია მწყობრიდან და არ მუშაობს.

გაგრისა და ცაგერის რაიონების ზოგიერთ სკოლაში იარაღები ინახება ხის კარადებში. ქალაქების თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, ტყიბულისა და გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის, ახალციხის, გაგრის, ბორჯომის, ლაგოდეხის რაიონების სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე ჩართული არაა არასაუწყებო დაცვის ცენტრალურ სამეთვალყურეო პულტზე.

იმ მიზნით, რომ საეხსებოთ გამორიცხულ იქნას სკოლებიდან იარაღების დაკარგვისა და გატაცების შესაძლებლობა,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**§ 1**

აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

— შექმნან კომპლექსური კომისიები ადგილობრივ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სამხედრო კომისარიატების წარმომადგენელთა მონაწილეობით და 1978 წლის 20 აპრილამდე ქალაქის (რაიონის) ყველა საშუალო სკოლაში გულდასმით შეამოწმონ იარაღების მოვლისა და შენახვის მდგომარეობა და გაატარონ ქმედითი ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად:

— ურყევად გაატარონ იარაღების მოვლისა და შენახვის მოქმედი ინსტრუქციის სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1977 წლის 17 აგვისტოს №3-მ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 17 ივნისის №444 ბრძანებების მოთხოვნები;

— როგორც წესი, თვეში ორჯერ შეამოწმონ თითოეულ სკოლაში იარაღების მოვლისა და შენახვის მდგომარეობა და შედეგები პერიოდულად მოისმინონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე;

— გადასინჯონ ლამის დარაჯების შემადგენლობა და ამ თანამდებობაზე დასანიშნავად შეარჩიონ ყოველმხრივ შემოწმებული პირები;

— ადგილობრივ შინაგან საქმეთა ორგანოებთან და სამხედრო კომისარიატებთან ერთად ყოველწლიურად ჩაატარონ სპეციალუ-

რი სემინარები სკოლების დირექტორებთან, სამხედრო ხელმძღვანელებთან, ელექტრიკოსებთან და ღამის დარაჯებთან;

— დააწესონ სათანადო კონტროლი ელექტრიკოსების მუშაობაზე, მიღწეულ იქნას, რომ ყველა სკოლაში დამცავი-გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია მუშაობდეს შეუფერხებლად;

— 1978 წლის 20 ივნისამდე იარაღების შესანახი ოთახები ჩართულ იქნას იმ ქალაქებისა და რაიონულ ცენტრებში, სადაც მუშაობენ არასაუწყებო დაცვის ცენტრალური სამეთვალყურეო პულტები;

— 1978 წლის 10 ივნისამდე გადაწყვიტონ ზაფხულის პერიოდში იარაღების შენახვისა და სიძველედ დაცვის საკითხი;

— 1978 წლის 15 ივნისამდე დაამთავრონ ყველა სკოლაში იარაღების შესანახი ოთახების მოწყობა ახალი ინსტრუქციის შესაბამისად და უზრუნველყონ რკინის კარადებზე სიგნალიზაციის დაყენება;

— მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულების შესახებ წარმოადგინონ 1978 წლის 15 აგვისტომდე.

## § 2

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დირექტორებმა:

— იარაღების მიღების, შენახვისა და დაცვის საქმეში არ დაუშვან მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევა და ყოველდღიური კონტროლი დააწესონ დამცავი-გამაფრთხილებელი სიგნალიზაციის შეუფერხებელ მუშაობასა და დარაჯების მიერ სამორიგეო სამსახურის შესრულებაზე;

— დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (აშ. ა. ორახელაშვილი) სისტემატურად შეამოწმოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში სამხედრო-სასწავლო იარაღების მოვლისა და დაცვის მდგომარეობა და განახორციელოს ქმედითი კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი

მ. ქინქლაძე

ГРУЗИНСКАЯ ССР  
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ  
ПРИКАЗ № 196

**О СЕРЬЕЗНЫХ НЕДОСТАТКАХ В УЧЕБНО-ВОСПИТА-  
ТЕЛЬНОЙ РАБОТЕ МЮССЕРСКОЙ ВСПОМОГАТЕЛЬ-  
НОЙ ШКОЛЫ-ИНТЕРНАТА**

Работа дирекции и педагогического коллектива Мюссерской вспомогательной школы-интерната (директор Э. Царгуш, заместитель директора по учебно-воспитательной работе К. Окуджава, старший воспитатель Ю. Пкин) характеризуется серьезными недостатками, обусловленными низким уровнем руководства и контроля со стороны администрации за работой педагогического коллектива, медицинского и технического персонала, а также безответственным отношением ряда работников к возложенным на них обязанностям.

Значительная часть педагогического коллектива школы-интерната не уделяет должного внимания повышению уровня идейно-политической работы и методического мастерства, овладению современными достижениями дефектологии. Педагоги В. Хачба, Ш. Гвашава, Т. Агрба, М. Барциц,

Выявлены серьезные недостатки в воспитательной работе. В. Жиба, проводят уроки на низком научном и методическом уровне, без учета специфики школы-интерната и индивидуальных возможностей воспитанников.

Дирекция и педагогический коллектив школы-интерната безответственно относятся к трудовому обучению и воспитанию учащихся, их подготовке к самостоятельной жизни. Уроки по трудовому обучению (Н. Бабаев, В. Жиба, В. Сагария) не соответствуют современным теоретическим и методическим требованиям. Преподаватели столярного дела не имеют соответствующего специального образования. Мас-

терские по труду плохо оборудованы, имеющиеся технологические карты и наглядные пособия редко используются в процессе обучения.

Выявлены серьезные недостатки в воспитательной работе с аномальными детьми. В процессе самоподготовки воспитатели не обеспечивают закрепление и углубление знаний, полученных учащимися на уроках. Проводимые воспитателями З. Ажиба, Г. Губаз, Н. Окуджава. В. Сагария мероприятия, порой носят формальный характер, мало способствуют воспитанию патриотизма и интернационализма, развитию эстетических чувств и трудовых навыков.

Недостаточное внимание уделяется физическому воспитанию учащихся (К. Агрба). По утрам не проводится физзарядка, а на переменах-подвижные игры, не созданы специальные группы для физически слаборазвитых детей и т. д.

В школе-интернате провалена методическая работа, не организованы методические объединения для предметников.

Серьезные недостатки в воспитательном процессе обусловлены и грубым нарушением принципов подбора и расстановки кадров. На педагогическую работу дирекция назначает лиц без соответствующего образовательного ценза, по родственным связям.

Педагогический совет школы-интерната не организует и не направляет коллектив на повышение уровня учебно-воспитательной работы не внедряет в практику современные достижения дефектологии и передового педагогического опыта.

В деятельности пионерской организации школы-интерната (ст. пионервожатая Т. Н. Робая) не чувствуется тяга к живой творческой работе, в результате чего пионерская работа мало способствует воспитанию инициативности, коллективизма, дружбы и товарищества, а также коррекции дефектов умственного развития детей.

Располагая незначительным книжным фондом, библиотека школы-интерната не ведёт содержательной и интересной внеклассной работы среди учащихся.

Безответственно ведётся школьная документация. Журналы заполняются небрежно, имеют место исправление и перечёркивание оценок (Н. Абухба, А. Бабаев, Ш. Гвашева, Т. Чамба, К. Окуджава). Не выставляются четвертные и итоговые оценки учителями Н. Дзадзамия, В. Сагария, В. Жиба, Ю. Пкиным.

Грубо нарушается по приему в специальные школы детей с недостатками физического и умственного развития. Учащиеся зачисляются без заключения медико-педагогических комиссий и без путёвок Министерств просвещения ГССР и Абхазской АССР. Неправильно заполняются личные дела учащихся, а педагогические характеристики, как правило, не отражают процесс развития умственных и физических способностей детей-олигофренов.

В школе-интернате не соблюдаются нормы питания, воспитанники не получают полагающихся по норме свежих фруктов, овощей, рыбу. Меню однообразное. Грубо нарушаются и санитарно-гигиенические нормы: воспитанники не обеспечены предметами личной гигиены, не знакомы с правилами её соблюдения.

На складе вместе с использованным инвентарём находились совершенно новые, непроштампованные предметы 14 наименований и две-упакованные безфактурные швейные машины «Чайка». Не по назначению используется принадлежащая интернату автомашина «Москвич-412» (№ 97-53 ГАВ).

В целях устранения отмеченных недостатков и улучшения работы Мюссерской вспомогательной школы-интерната,

Приказываю:

1. За слабое руководство работой педколлектива, медицинского и техперсонала, а также ослабление внутришкольного контроля, освободить от занимаемой должности директора Мюссерской вспомогательной школы-интерната Э. Дар-

гуш и заместителя директора по учебно-воспитательной работе К. Окуджава.

2. За неудовлетворительную постановку воспитательного процесса и слабое руководство работой воспитателей объявить выговор старшему воспитателю Ю. Пкину.

3. Министерству просвещения Абхазской АССР (тов. Когония Т. И.):

— организовать до 30 марта 1978 г. рассмотрение настоящего приказа на педагогическом совете Мюссерской вспомогательной школы-интерната, разработать и осуществить конкретные мероприятия по повышению эффективности учебно-воспитательного процесса, улучшению жилищно-бытовых условий воспитанников, обеспечению высокого качества работы педколлектива и обслуживающего технического персонала;

— в конце учебного года рассмотреть вопрос о целесообразности оставления на занимаемых должностях старшего воспитателя Ю. Пкина и воспитателей, назначенных по родственным связям, без наличия соответствующего образовательного ценза;

— на вакантные должности директора школы-интерната и заместителя директора по учебно-воспитательной работе назначить лиц, имеющих соответствующий стаж работы и высшее педагогическое образование;

— усилить контроль за соблюдением финансовой дисциплины и использованием автотранспорта;

— наложить административное взыскание на учителей и воспитателей, безответственно относящихся к возложенным на них обязанностям.

4. Контроль за выполнением настоящего приказа возложить на Управление школ-интернатов и детских домов (тов. Т. Николаишвили).

**Основание:** решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 2 марта 1978 года.

**Министр**

**О. КИНКЛАДЗЕ**

# გ ა ნ ა თ ღ ე ბ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ ო რ ო ს

1978 წლის 16 მარტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 205

საბჭოთა კავშირის გვირის, გენერალ-კოლკოვნიკ კ. ნ. ლე-  
ხელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სა-  
უშალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით  
დაკომპლექტების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

## § 1

დამტკიცდეს კ. ნ. ლეხელიძის სახელობის რესპუბლიკურ სპე-  
ციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატში 1978—1979 სასწავ-  
ლო წლისათვის მოსწავლეთა მისაღები კონტინგენტი 180 მოსწავ-  
ლის რაოდენობით;

— მეცხრე კლასებში მიღებულ იქნან 15—16 წლის ვაჟები,  
რომლებიც მიმდინარე სასწავლო წელს წარმატებით დაამთავრებენ  
ქართული სკოლის რვა კლასს და ჯანმრთელობის მდგომარეობით  
ვარგისნი აღმოჩნდებიან სწავლის გასაგრძელებლად სამხედრო სას-  
წავლებლებში.

## § 2

განათლების სამინისტროს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა  
და საბავშვო სახლების სამმართველოებმა, დაწყებითი სამხედრო  
მომზადების განყოფილებამ, აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლე-  
ბის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის,  
რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების  
განყოფილებებმა:

— რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის და-  
კომპლექტება მოწინავე მოსწავლე-ახალგაზრდობით მიიჩნიონ დიდ-  
მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმედ;

— სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა მიღების პირობების გათ-  
ვალისწინებით სათანადო ორგანიზატორული და ახსნა-განმარტე-



ბითი მუშაობით, უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატისათვის ღირსეული კანდიდატების შერჩევა, რისთვისაც პერსონალური პასუხისმგებლობა  
ხელმძღვანელებს.

§ 3

სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. ფანჩულიძე) და დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილი) ა/წ 23 ივლისამდე მოახსენონ სამინისტროს ხელმძღვანელობას სკოლა-ინტერნატის კონტინგენტის შერჩევისათვის ჩატარებული მუშაობის შესახებ.

§ 4

გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) გამოაქვეყნოს სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა მიღების პირობები, აგრეთვე პროპაგანდისტული ხასიათის მასალები სკოლა-ინტერნატის მოწინავე მოსწავლეებისა და იმ კურსდამთავრებულთა შესახებ, რომლებიც წარმატებით სწავლობენ უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში.

§ 5

რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატის დირექციამ (ამხ. გ. გოგოლიძე) გაატაროს სათანადო ღონისძიებანი კანდიდატების შერჩევისა და მისაღები გამოცდების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

§ 6

ინფორმაცია ამ ბრძანების შესრულების შესახებ მოხსენდეს განათლების სამინისტროს კოლეგიას ა. წ. 20 სექტემბრამდე.

მინისტრი

ო. ჯინჯღაძე




საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯისა  
და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის  
პრეზიდიუმის 1978 წლის 30 მარტის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 3

მშობელთა პედაგოგიური განათლების სისტემის  
ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯია და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში მოქმედებს 132 მშობელთა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, 22664 მსმენელი. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მშობელთა სახალხო უნივერსიტეტის სწავლების კურსი გაიარა და დაამთავრა 113320 მსმენელმა, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მიერ აგრეთვე ყოველწლიურად იკითხება 15601 ლექცია, რომელსაც 62440 კაცი ესწრება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯია და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმი ამასთანავე აღნიშნავენ, რომ მშობელთა პედაგოგიური განათლებისა და თვითგანათლების ორგანიზაციის სისტემა ჩამოყალიბებული არ არის და ჯერ კიდევ გამოუყენებელია ამ დარგში არსებული მთელი რიგი რეზერვები და შესაძლებლობანი, უპირველეს ყოვლისა გამოყენებული არ არის პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელი, რომელთაც დიდი პოპულარობა აქვთ მოხვეჭილი მშობელთა შორის. რესპუბლიკაში არსებულ სახალხო უნივერსიტეტებში მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ 3%-ია ჩაბმული. არათანაბრად ვითარდება პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელი მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში (აბაშა, ბორჯომი, გარდაბანი, დმანისი, მესტია, მარნეული, ქ. ზუგდიდი, ყვარელი, ჩხოროწყუ, ქარელი) სრულიად არ არის დღემდე შექმნილი აღნიშნული დარგის სახალხო უნივერსიტეტები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქ-



ში, ადიგენში, ონში, საჩხერეში, კასპში, ლენტეხში და სხვა რაიონებში სუსტად ვითარდება მათი ქსელი, მცირეა მსმენელთა დენობა, ნაკლებად იყენებენ სწავლების აქტიურ ფორმებს და მეთოდებს და სხვა. რესპუბლიკაში ნაკლებად იკითხება ლექციების ციკლები მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის და სწავლების პედაგოგიურ ფსიქოლოგიურ საკითხებზე.

აქედან გამომდინარე, საქართველო სსსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმს მიზანშეწონილად მიაჩნია განახორციელოს შემდეგი ღონისძიებანი:

1. რესპუბლიკაში 1978—1980 წლებში პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის განვითარების პერსპექტიული გეგმა დამტკიცდეს (თან ერთვის ფორმა № 1, № 2, № 3).

2. დაევალოს საოლქო, საქალაქო და რაიონულ განათლების განყოფილებებს, საზოგადოება „ცოდნის“ შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ მშობელთა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების, ფაკულტეტების, ფილიალების შექმნა ცალკეული სკოლების, კლასების (0—III კლასის, მე-4—7 კლასის, მე-8—10 კლასის) მოსწავლეთა მშობლებისათვის.

3. სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა, სახალხო უნივერსიტეტების და ფაკულტეტების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ უფროსი კლასის მოსწავლეთა მშობლებისათვის პროფესიული, შრომითი და სოციალური მომზადების აქტუალური საკითხების შესწავლას.

4. სახალხო უნივერსიტეტების სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭოებმა ფართოდ გამოიყენონ სწავლების აქტიური ფორმები და მეთოდები: სემინარები, თეორიული და პრაქტიკული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, დისპუტები, შეხვედრები მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, ომის და შრომის ვეტერანებთან, ცნობილ პედაგოგებთან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლების ხელმძღვანელებთან, მოაწყონ ექსკურსიები ასეთი ტიპის სასწავლებლებში, კოლექტიურად დაესწრონ აღზრდის თემაზე შექმნილ სპექტაკლებსა და კინოფილმებს, მოაწყონ მათი საჯარო განხილვა, პრაქტიკაში დანერ-

გონ მსმენელების მიერ საკონტროლოების, საკურსოების და სა-  
დიპლომო ნამუშევრების მომზადება და სხვა.

5. საზოგადოება „ცოდნის“ საოლქო, საქალაქო და რაიონულ-  
მა გამგეობებმა მოაწყონ მუდმივმოქმედი ლექტორიუმები და ლექ-  
ციების ციკლები მოსწავლე მშობლებისათვის და მასწავლებლები-  
სათვის: მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრი-  
ვი, ხალხთა მეგობრობის და ინტერნაციონალური აღზრდის საკი-  
თხებზე.

6. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტე-  
ლევიზიისა და რადიომუშყებლობის სახელმწიფო კომიტეტის წი-  
ნაშე პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის აღდგენისა  
და მისი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტ-  
რალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს „ზოგად-  
საგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრ-  
დის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის  
შესახებ“ (1977 წელი 22 დეკემბერი) დადგენილების შესაბამისად.

7. დაევალოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სა-  
მეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და ეთხოვოს ა. ს. პუშკინის სახე-  
ლობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კა-  
თედრას ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ პედაგოგიური ცოდნის სა-  
ტელევიზიო სახალხო უნივერსიტეტისათვის სასწავლო თემატიკა  
და წარმოუდგინონ იგი განათლების სამინისტროს დასამტკიცებ-  
ლად.

8. წინადადება მიეცეს აბაშის, ბორჯომის, გარდაბნის, დმანისის,  
მესტიის, მარნეულის, ყვარლის, ჩხოროწყუს, ქარელის, ზუგდიდის  
და სხვა ქალაქების და რაიონების განათლების განყოფილებებს  
უმოკლეს დროში შექმნან პედაგოგიური ცოდნის რაიონული და  
საქალაქო სახალხო უნივერსიტეტები შესაბამისი ფაკულტეტებით  
და ფილიალებით, უზრუნველყონ მათი მუშაობის მაღალი იდეურ-  
პოლიტიკური და მეცნიერული დონე.

9. მიღებულ იქნას მხედველობაში მშობელთა რესპუბლიკუ-  
რი საზოგადოების ჩამოყალიბება და რომ საზოგადოების წესდე-  
ბით რესპუბლიკური საბჭოს ადგილობრივი განყოფილებანი თავი-  
ანთ მუშაობას წარმართავენ რესპუბლიკური საბჭოს მითითებებისა  
და იმ მოთხოვნილებათა საფუძველზე, რაც ადგილობრივი პირო-

ბების შესაბამისად დგას მშობელთა ფართო მასების პედაგოგიური კულტურის ამაღლებისა და სკოლასა და მშობელთა შორის არსებული ურთიერთკავშირის განმტკიცების სფეროში.

აქედან გამომდინარე, მომავალში სათანადო ღონისძიებები იქნას გატარებული აღნიშნული მუხლის განსახორციელებლად.

10. მოწონებულ იქნას გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის ინიციატივა მშობელთა პედაგოგიური ცოდნის დაუსწრებელი სახალხო უნივერსიტეტის შექმნის შესახებ.

დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს ყოველმხრივ გააძლიერონ მშობელთა პედაგოგიური განათლების აქტუალური საკითხების პროპაგანდა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მშობელთა დაუსწრებელი პედაგოგიური სახალხო უნივერსიტეტის რეაბრიკით გამოქვეყნებული მასალების მეცნიერული და მეთოდური ღონისძიებებსა და სრულყოფას.

11. გადახალისდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული სახალხო უნივერსიტეტების ხელშემწყობი საბჭოს შემადგენლობა. დაევალოს კოლეგიის წევრებს ამხანაგებს: უ. ობოლაძეს, ზ. ლომიძეს კოლეგიის მორიგ სხდომას წარმოუდგინონ თავიანთი წინადადებანი აღნიშნულ საკითხზე.

**საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი**

**მ. ჭინჭლაძე**


**საქართველოს სსრ საზოგადოება  
„ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს თავ-რე**

**დ. გოგონია**

პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის  
განვითარება რესპუბლიკაში 1978—1980 წლებში

№.№.	სახალხო უნივერსიტეტების დასახელება	1978 წ.				1979 წ.				1980 წ.			
		სახალხო უნივერსიტეტების რიცხვი				სახალხო უნივერსიტეტების რიცხვი				სახალხო უნივერსიტეტების რიცხვი			
		სულ	ერთწლიანი	ორწლიანი	სამწლიანი და მუდმივმოქმედი	სულ	ერთწლიანი	ორწლიანი	სამწლიანი და მუდმივმოქმედი	სულ	ერთწლიანი	ორწლიანი	სამწლიანი და მუდმივმოქმედი
1	მშობელთა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები	10	—	6	4	15	—	10	5	10	—	6	4
2	სამეცნიერო-პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები	5	—	5	3	5	—	3	2	5	—	3	2
3	სხვა ტიპის პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები	5	—	5		5	—	3	2	5	3	2	—
	ს უ ლ	20	—	16	4	25	16	9		20	3	11	6

მშობელთა პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები



ფაკულტეტების დასახელება	1978 წ.		1979 წ.		1980 წ.	
	მსმენელთა რაოდენობა	ფაკულტეტთა რაოდენობა	მსმენელთა რაოდენობა	ფაკულტეტთა რაოდენობა	მსმენელთა რაოდენობა	ფაკულტეტთა რაოდენობა
	მილი	რაოდენობა	მილი	რაოდენობა	მილი	რაოდენობა
1. ახალგაზრდობისა და მომავალი მშობლების	24	24	24	24	36	24
2. მშობელთა სკოლამდელი	600	50	600	60	700	70
3. ექვს წლამდე ბავშვთა მშობლების	600	60	700	70	750	80
4. მოსწავლეთა მშობლებისათვის						
მათ შორის						
პირველი კლასის მოსწავლეთა მშობლების	1000	100	1100	20	1200	130
მეორე კლასის მოსწავლეთა მშობლების						
მესამე კლასის მოსწავლეთა მშობლების						
მეოთხე კლასის მოსწავლეთა მშობლების						
მეხუთე კლასის მოსწავლეთა მშობლების	1000	100	1100	120	1100	130
მეექვსე კლასის მოსწავლეთა მშობლების						
მეშვიდე კლასის მოსწავლეთა მშობლების	1000	100	1050	120	1200	130
მერვე კლასის მოსწავლეთა მშობლების						
მეცხრე კლასის მოსწავლეთა მშობლების						
მეათე კლასის მოსწავლეთა მშობლების						
5. მშობელთა აქტივისათვის	2000	20	3000	30	3500	40
6. მშობელ ლექტორთა პედაგოგიურ პრობლემებზე	1000	10	1500	12	2000	20

სამეცნიერო პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები



ფაკულტეტის დასახელება	1978 წ.		1979 წ.		1980 წ.	
	მსმენელთა რაოდენობა	გეგმით. ფაკულტეტების რიცხვი	მსმენელთა რაოდენობა	გეგმით. ფაკულტეტების რაოდენობა	მსმენელთა რაოდენობა	გეგმით. ფაკულტეტების რაოდენობა
1. კლასის ხელმძღვანელების	1550	15	1750	17	2100	20
2. სკოლა-ინტერნატების აღმზრდელების	800	7	950	9	1050	10
3. საგნის მასწავლებლების	18000	160	25000	193	30000	225
მათ შორის:						
რუსული ენის და ლიტერატურის	1200	10	1420	12	1500	15
ნაციონალური ენის და ლიტერატურის	1400	12	160	14	1740	17
მათემატიკა	2000	20	2240	22	2300	25
ქიმია	750	8	1200	10	1440	12
ისტორია	800	8	1200	10	1440	12
ბიოლოგია	1400	12	1400	14	1650	17
ფიზიკა	1200	10	1200	12	1500	15
ასტრონომია	480	5	650	7	940	10
გეოგრაფია	950	8	900	10	1400	15
უცხო ენა	800	10	1100	12	1500	15
ხატვა-ხაზვა	920	10	1450	12	1640	15
მუსიკა	950	10	1200	12	1400	15
დამწყებ კლასებისათვის	2000	20	2450	25	2900	30
ფიზკულტურა	1200	10	1350	12	1600	15

შრომა	650	7	800	9	1100	12
4. სკოლის ხელმძღვანელობის	1000	15	1200	17	1700	20
მათ შორის:						
სკოლის დირექტორების	750	7	900	9	1000	10
სკოლის დირექტორების სკოლის დირექ. მოად. სწავლე- ბის დარგში	360	3	720	5	900	7
კლასგარეშე და სკოლისგარე- შე მუშაობის ორგანიზატორების	1550	5	360	3	360	3
5. სკოლამდელთა აღზრდის მუ- შაკათვის	1400	12	1500	14	1600	15
6. პიონერხელმძღვანელებისათ- ვის	1400	12	1500	14	1600	15
7. ბიბლიოთეკარებისათვის	600	7	800	9	900	10
8. ფსიქოლოგიური ცოდნის	600	7	800	9	900	10
9. ლექტორ მასწავლებელთა დაოსტატების	950	9	1150	11	1350	15
ჯ ა მ ი		244		293		320

საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისათვის მახარაძისა და სიღნაღის რაიონების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის  
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, მოისმინა და განიხილა რა შემოწმების მასალები, გადაწყვიტა:

1. ცნობა „საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისათვის მახარაძისა და სიღნაღის რაიონების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთსა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს.

2. დაევალოთ მახარაძისა და სიღნაღის სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებებს (ამხ. მ. ხავთასი, ე. დალაქიშვილი) აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით:

2.1. შეიმუშაონ და განახორციელონ მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები, სკკპ და საქართველოს კპ 25-ე ყრილობების, საქართველოს სსრ მასწავლებელთა მე-4 ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოთხოვნათა შესაბამისად.

2.2. სახალხო განათლების რაიონული განყოფილებების აპარატის ორგანიზატორული საქმიანობა წარმართონ საყოველთაო საშუალო განათლების კანონის განხორციელებისა და აღმზრდელობითი მუშაობის ქმედითი გაუმჯობესებისათვის.

2.3. სკოლების დირექტორებისა და პედაგოგიური კოლექტივების ყურადღება გაამახვილონ სწავლების მეცნიერული და იდეურ-თეორიული ღონის ამაღლებაზე, სწავლებისა და აღზრდის პროცესის ერთიანობაზე, არასაგაკვეთილო აღმზრდელობითი საქმიანობის ეფექტური ფორმების შერჩევის გზით მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის კომპლექსურად განხორციელებაზე.



2.4. მიაჩვიონ მასწავლებლობა პერსპექტიულ, გეგმიან მოუკიდებელ მუშაობას. მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მათგანი ეფექტურად იყენებდეს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის კოლექტიურ და ინდივიდუალურ ფორმებს, იმალებდეს იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების დონეს.

2.5. მოსწავლეთა აღზრდისათვის პირობების გაუმჯობესების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ:

— სასწავლო წლის მანძილზე და არდადეგების პერიოდში სკოლების მიერ მიკრორაიონში მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის. მაორგანიზებელი ცენტრის ფუნქციის შესრულებას.

— სკოლისგარეშე დაწესებულებების ქსელის განვითარებისა და მათი საქმიანობის სრულყოფას, სკოლებთან მათი ურთიერთკავშირის განმტკიცებას.

2.6. ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საკითხებზე მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და გავრცელებას.

2.7. მოაწესრიგონ სკოლების თემატური საინსპექტორო შემოწმების დაგეგმვა და ორგანიზაცია აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სწავლების აღმზრდელობითი როლის ამაღლებას. მიიღონ ზომები აღმზრდელობითი მუშაობისადმი მეცნიერულად დასაბუთებული შინაასაკლო კონტროლის უზრუნველსაყოფად.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის განათლების განყოფილებამ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა სკკპ 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის კომპლექსურად განხორციელების მიზნით უზრუნველყონ სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანი სისტემის შექმნა და მისი შემდგომი სრულყოფა.

4. მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ მახარაძისა და სიღნაღის რაიონებში სახალხო განათლების საბჭოებზე შემოწმების მასალების შედეგად გატარებულ იქნა ორგანიზაციული ღონისძიებები (შეიცვალა სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელობა, დაისახა ღონისძიებები სასწავლო წლის ბოლოსათვის კადრების შეცვლისა და შერჩევისათვის).



5. მახარაძისა და სიღნაღის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოდგენილ იქნას 1979 წლის იანვარში.

6. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს აღმზრდელითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. მ. ოჩივაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი —

ო. ჭინჭლაძე

ნისტროს კოლეგიის - 1978 წლის 30  
მარტის გადაწყვეტილებისა

### ც ნ ო ზ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისათვის მახარადისა და სიღნაღის რაიონების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის შესახებ

მიმდინარე წლის თებერვალში განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ მახარადისა და სიღნაღის რაიონებში შეისწავლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით განათლების განყოფილების, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მიერ გაწეული მუშაობა. შემოწმების მიზანი იყო მათი საქმიანობის დადებითი გამოცდილების გაცნობა, არსებული ხარვეზების გამოვლენა, გამოიმწვევი მიზეზების ანალიზი, მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევა.

მუშაობის პროცესში ბრიგადის წევრები გაეცნენ მახარადისა და სიღნაღის რაიონების 32 სკოლის (24 საშუალო, 4 რვაწლიანი, 2 დაწყებითი, 2 სკოლა-ინტერნატი), 2 სკოლისგარეშე დაწესებულების (პიონერთა სახლები) და განათლების განყოფილებების მუშაობას.

როგორც საკითხის შესწავლამ ცხადყო, სიღნაღისა და მახარადის განათლების განყოფილებებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული სკკპ 25-ე, საქართველოს კპ 25-ე ყრილობების, საქართველოს მასწავლებელთა მე-4 ყრილობის გადაწყვეტილებების, სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.



მათ საქმიანობაში გამოკვეთილია მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და სწავლების სადღეისო აქტუალური საკითხები, წინა პლანზეა წამოწეული პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ძირითადი მიმართულებანი — მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღება, მათში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, შრომითი აღზრდა, პროფესიული ორიენტაცია, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმა და რიგი სხვა საკითხები.

უკანასკნელ ხანებში განათლების განყოფილებებისა და სკოლების დირექციების მიერ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად მხარაძისა და სიღნაღის რაიონების სკოლებში გაუმჯობესდა მოსწავლეებთან სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა, დაიხვეწა მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

პედაგოგიური კოლექტივები სასკოლო კომკავშირულ და ბიონერულ ორგანიზაციებთან ერთად კომუნისტური აღზრდის ფორმებისა და მეთოდების მდიდარი არსენალის გამოყენებით ძირითადად წარმატებით წყვეტენ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად სკოლებში მიმდინარეობს სკკპ 25-ე ყრილობის მასალების შესწავლა. მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივებში დამუშავდა და შესწავლილ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. მ. ბრეჯნევის სიტყვა, თქმული 1977 წლის 4 ოქტომბერს, სსრკ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე; მიმდინარეობს მუშაობა ახალი კონსტიტუციის შესასწავლად.

სიღნაღის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა. შემცირდა მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა. დღეისათვის რაიონში 15 მეორეწლიანი მოსწავლეა (14-ით ნაკლები გასულ წელთან შედარებით), რაიონში არ არის არც ერთი სკოლიდან განთესილი მოსწავლე.

გასული წელი აღსავსე იყო ისტორიული მოვლენებით. საბჭოთა ხალხმა იზეიმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი. მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, სსრკ ახალი ჰიმნი, ამ ისტორიულმა ფაქტებმა კიდევ უფრო განამტკიცეს მოსწავლეთა აღზრდა რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელოვან ტრადიციებზე მოსწავლეთა აღზრდის დონის ამაღლების, მათში კომუნისტური მსოფლმხედველობის, პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობებისა და ქცევის ჩამოყალიბებისათვის ამოუწურავი შესაძლებლობებია მოცემული სკოლების სასწავლო პროგრამებში. ამ შესაძლებლობებს მოსწავლეებთან მუშაობაში უნარიანად იყენებენ მახარაძისა და სიღნაღის სკოლების ცალკეული მასწავლებლები ლ. დოლიძე (მახარაძის მე-3 სკოლა), შ. თავართქილაძე (ბახვის სკოლა), ვ. გიორგაძე (ვაკიჯვრის სკოლა), ა. გოგიძე (ნაკომარის სკოლა), ქ. ჭანუყვაძე (შემოქმედის სკოლა), ნ. ნიქაბაძე (მერიის სკოლა) ი. ნაკაიძე (ნატანების სკოლა), ნ. ძიძიგური (კონჭკათის სკოლა), მ. ქაბაშვილი (ბოდბისხევის სკოლა), ა. ტალახაძე (წნორის პირველი სკოლა), მ. ჯანიაშვილი (ბოდბეს სკოლა). აღნიშნული მასწავლებლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, სისტემატურად იმაღლებენ პროფესიულ ცოდნასა და პედაგოგიურ ოსტატობას, ავლენენ კარგ იდეურ-თეორიულ მომზადებას, ეუფლებიან სამამულო და მსოფლიო პედაგოგიკის კლასიკურ მემკვიდრეობას, გამოირჩევიან მაღალი მოქალაქეობრიობითა და პარტიული პრინციპულობით, დიდ მომთხოვნელობას იჩენენ ყოველი გაკვეთილის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, აღზრდისა და სწავლების ერთიანობის მისაღწევად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ექსპედიციაში — „სსრკ ჩემი სამშობლო“, აქტიურად მონაწილეობდა სიღნაღის, წნორის მე-2, ანაგის, მახარაძის I, მე-2, მერიის, ვაკიჯვრის, ბახვის საშუალო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობა, რამაც მათი საქმიანობა უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადა.

მე-60 წლისთავისათვის მზადებას მიეძღვნა საიუბილეო კვირეულები, თემატური კონფერენციები, კონკურსები, ექსკურსიონალაშქრობები. მოეწყო შეხვედრები პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან. ჩატარდა სპეციალური კრებები, შეკრებები, „შრომითი დესანტი“. შეჯამდა საიუბილეოდ აღებული ვალდებულებები და ა. შ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ მომზადებასა და საბჭოთა ხალხის გმირულ ტრადიციებზე მათ აღზრდას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს სწორად დაგეგმილი და ჩატარებული მასობრივი ღონისძიებები. მხარაძის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4; ბახვის, ვაკიჯვრის, სიღნაღის, წნორის მე-2, მე-3, ულიანოვკის, საქობიოს სკოლებში მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ლენინურ ჩათვლებსა და პიონერულ მარშრუტებში, ტრადიციად დამკვიდრდა ლენინური გაკვეთილების, რუსული ენის დღესასწაულების, ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოების ჩატარება სამამულო ომის მონაწილეებთან, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან, შრომის გმირებთან, შეხვედრების ორგანიზაცია.

პიონერთა და მოსწავლეთა იდეური რწმენის განმტკიცების, პოლიტიკური აქტივობის გაღვივების, მათში მაღალი მორალური თვისებების ფორმირების მიზანს ისახავს მახარაძის 1-ლი, მე-3, შემოქმედის, წნორის 1-ლ სკოლებში შექმნილი სხვადასხვა პროფილის სასკოლო მუზეუმები. საინტერესო ექსპონატები აქვთ შეგროვებული და სასწავლო წლის ბოლოს გაიხსნება მუზეუმები სიღნაღის-ულიანოვკისა და მახარაძის-ბახვის საშუალო სკოლებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ატარებენ მოსწავლე-ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისათვის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეებში სასოფლო-სამეურნეო პროფესიებისადმი ინტერესის გაღვივებას, მათი სათანადო ცოდნითა და პრაქტიკული ჩვევებით შეიარაღებას.

სკოლაში მოსწავლეთა მიერ მექანიზატორის, მძღოლის, მევენახის და ა. შ. სპეციალობების დაუფლება ძირითადად განსაზღვრავს მათ შრომით საქმიანობას სკოლის დამთავრების შემდეგ. მახარაძის რაიონში 1977 წელს 1097 კურსდამთავრებულიდან სასოფ-

ლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაება 800 ახალგაზრდა, სიღნაღის რაიონში 671 კურსდამთავრებულიდან 4.08 ახალგაზრდა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის მიზნით სკოლებში მრავალი საინტერესო ფორმაა გამოყენებული. სისტემატურად ეწყობა შეხვედრები შრომის გმირებთან, წარმოების მოწინავეებთან. შექმნილია საწარმოო ბრიგადები, სხვადასხვა პროფილის გაერთიანებები, ბუნების დაცვისა და მოვლა-პატრონობის მიზნით ჩამოყალიბებულია მწვანე და ცისფერი საგუშაგოები.

მოსწავლე-ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს შრომით საქმიანობაში. 1977 წელს ზაფხულში მახარაძის რაიონში შექმნილი იყო I შრომითი ბანაკი და 72 შრომითი ბრიგადა. მოსწავლეთა მიერ გამოიმუშავებულ იქნა 216500 მანეთი. სიღნაღის რაიონში შექმნილი მოსწავლეთა 21 შრომითი ბრიგადის მიერ გამოიმუშავებულმა თანხამ 70280 მანეთი შეადგინა. მოსწავლეთა ძალებით გასულ სასწავლო წელს სიღნაღის რაიონში შეგროვდა 260 ტონა ჯართი, დამზადდა 30 ათასი ტონა თივა. მახარაძის რაიონში — 155 ტონა ჯართი, 15 ტონა მაკულატურა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილებების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ ცხოვრებაში განხორციელების მიზნით მახარაძისა და სიღნაღის სახალხო განათლების ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გარკვეული ნაბიჯები გადადგეს. გამიზნული აქვთ სასწავლო-საწარმოო კომბინატების გახსნა, შრომითი სწავლებისა და აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების ბაზაზე.

ამასთან ერთად, მახარაძისა და სიღნაღის რაიონების სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისათვის საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე, ხასიათდება მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებებით.

სკოლათა პედაგოგიური კოლექტივების ერთი ნაწილი ვერ  
კიდევ ვერ უზრუნველყოფს მეცნიერული ცოდნისა და საზოგადო-  
ებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დონის შესაბამისად მოსწავლე-  
ებში მაღალი მორალური თვისებებისა და იდეური რწმენის ჩანერ-  
გვას, მოზარდი თაობის ზნეობრივი ფორმირების წინაშე დასახული  
სოციალური და პოლიტიკური ამოცანების შესრულებას, სერიო-  
ზულ შემფოთებას იწვევს ზოგიერთი მასწავლებლის დაბალი პრო-  
ფესიული მომზადება. პოლიტიკური მოუმიწიფებლობის შედეგად  
ბევრი მასწავლებელი ვერ ახერხებს სწავლების მკვიდრად შეხა-  
მებას აღზრდასთან. შესუსტებულია ყურადღება საზოგადოებათ-  
მცოდნეობის საგნების სწავლებისადმი, მასწავლებელთა ერთი ნა-  
წილი ვერ იყენებს მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლ-  
მხედველობისა და იდეური რწმენის, საზოგადოებრივი ცხოვრების  
მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომის ჩამოყალიბებისათვის იმ  
შესაძლებლობებს, რასაც ამ საგნების პროგრამები იძლევიან.

სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგი-  
ური კოლექტივები უმეტეს შემთხვევაში თავს ვერ ართმევენ უმ-  
ნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებას — აღზრდისადმი კომ-  
პლექსურ მიდგომას. პედაგოგთა ნაწილი ვერ ახერხებს სწავლების  
პროცესში, პროგრამული მასალის ათვისების დროს, გამოუმუშაოს  
მოსწავლეებს კომუნისტური მსოფლმხედველობა, დაეხმაროს მათ  
შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად ათვისებაში, მის რწმენად გადაქ-  
ცევაში, მოსმენილი გაკვეთილების ანალიზმა აჩვენა, რომ პედაგო-  
გები ვერ ახერხებენ სასწავლო პროცესის ისეთნაირად წარმართ-  
ვას, რომ უზრუნველყონ დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭ-  
რა (მახარაძის რაიონი, ნასაკირალის საშ. სკოლის ქართული ენისა  
და ლიტერატურის მასწავლებელი ლ. თავაძე, ისტორია-საზოგა-  
დოებათმცოდნეობის მასწავლებელი მ. გაყონია, შემოქმედის საშ.  
სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი გ. მენაბდე, მეღებეღურის  
სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. გაგუა,  
სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის და ნუკრიანის I სკოლის ქარ-  
თული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. შანშაშვილი და  
ბ. შინჯიაშვილი).

მოყვანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ პედაგოგები ნაკლებ  
ყურადღებას უთმობენ საკუთარი ცოდნის დონის ამაღლებასა და

თვითგანათლებას, დროულად არ ღებულობენ სათანადო მეთოდური მითითებებსა და პრაქტიკულ დახმარებას სკოლების დირექციებისაგან, რაზეც მოსმენილი ვაკვეთილების ანალიზი და საგნობრივი მეთოდგაერთიანების მუშაობის შედეგები მეტყველებს.

სასწავლო პროცესის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს სწორად დაგეგმილი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, სწორედ ეს გვაძლევს კომპლექსური აღზრდის ერთიან სისტემას, მუშაობის ასეთი სისტემა აღნიშნული რაიონების ზოგიერთ სკოლაში არ არსებობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მოსწავლეთა აღზრდასა და მათ იდეურ-პოლიტიკურ, პატრიოტულ, ინტერნაციონალურ და ესთეტიკურ ფორმირებაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის, სკკპ მნიშვნელოვანი დოკუმენტების შესწავლა, სოციალისტური წეს-ჩვეულებების და მათთან დაკავშირებული საბჭოთარი რიტუალების გაცნობა და პრაქტიკულად შესრულება. მახარაძისა და სიღნაღის რაიონების სკოლებს ჯერ კიდევ სახელმძღვანელოდ არ გაუხდიათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 27 დეკემბრის დადგენილება — „ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებზე მოსწავლეთა აღზრდის, სკოლებში მისი ნაწარმოებებისა და სკკპ დოკუმენტების შესწავლის გაუმჯობესების შესახებ“. ზოგიერთ სკოლაში ფორმალურად უდგებიან პროგრამულ მასალასთან კავშირში ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებისა და სკკპ დოკუმენტების გაცნობას, არსებული მეთოდური ლიტერატურისა და თვალსაჩინოებათა გამოყენებას, იშვიათად ტარდება ლენინური ვაკვეთილები, დაუსწრებელი მოგზაურობები ლენინურ ადგილებში. ფორმალურად მიმდინარეობს საკავშირო ლენინური ჩათვლა, მოსწავლეებთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მიზნით სათანადოდ არაა გამოყენებული მუშაობის ისეთი ფორმები, როგორცაა პოლიტინფორმაცია, უფროსკლასელთა პოლიტიკური კლუბები, გაერთიანებები, პოლიტიკური მუშაობის სხვა ფორმები. (მახარაძის რაიონის მელექედურის, მაკვანეთის, ნავომარის, მერიის, ნასაკირალის, ნატანების, ვაკიჯვრის, მახარაძის მე-2, მე-3, მე-4 საშუალო, დვაბზუს რვაწლიანი, სიღნაღის 1-ლი, მაშნარის.



ქვემო მაჩხაანის, მალაროს, ულიანოვკის, ბოდბისხევის, წნორის 1-ლი, მე-2, მე-3 ანაგის, ტიბაანის 1-ლი, ულიანოვკის, ბოდბის რვა-წლიანი სკოლა-ინტერნატი).

მიუხედავად იმისა, რომ რიგი სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული სასკოლო მუშეუბების შესაქმნელად, დღემდე მუშეუბები მაქსიმალურად არ არის გამოყენებული მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, პატრიოტული, ინტერნაციონალური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მიზნით. მუშეუბის ექსპოზიციები ნაკლებად გამოიყენება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, იგი არ წარმოადგენს სკოლის ერთიანი სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, მუშეუბების თემატიკისა და ექსპოზიციების შემუშავების დროს ადგილი აქვს საკითხისადმი ზედაპირულ მიდგომას, მათი აღმზრდელობითი მნიშვნელობის შეუფასებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო ექსპედიცია „ჩვენი სამშობლო საბჭოთა კავშირია“, რომელიც საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ერთერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს შახარაძისა და სიღნაღის სკოლებს მაქსიმალურად არ გამოუყენებიათ სახელოვან ტრადიციებზე მოზარდი თაობის აღზრდისათვის. მათ უმრავლესობას საკავშირო ექსპედიციაში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა. ხშირად ირღვევა სსრკ განათლების სამინისტროს 1975 წლის 14 მარტის ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის ტურისტული ლაშქრობების, ექკურსიებისა და მოგზაურობების ორგანიზაციისა და ჩატარების ინსტრუქციის შემოღების შესახებ“.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადების საქმეში, სამხედრო ხელმძღვანელების ერთი ნაწილი იჩენს სუსტ მეთოდურ მომზადებას. დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილების მაღალ დონეზე ჩატარებას გარკვეულად ხელს უშლის ის გარემოება, რომ უფროსკლასელთა დიდი ნაწილი სუსტად ფლობს რუსულ ენას. აღსანიშნავია ისიც, რომ პედაგოგიური კოლექტივები არ წარმართავენ სათანადო მუშაობას წვევამდებლთან, მოსწავლეთა კოლექტივებს მჭიდრო კავშირი არა აქვთ დამყარებული სამხედრო



ნაწილებთან, სკოლების იმ კურსდამთავრებულებთან, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ისეთი გავრცელებული ფორმა, როგორცაა „ცისკარი“ და „ორლიონოკი“, რაიონების სკოლების დიდ უმრავლესობაში თითქმის უგულვებელყოფილია, ეს მაშინ, როდესაც ისინი წარმოადგენენ მოზარდი თაობის პატრიოტული, სამხედრო, ფიზკულტურულ-სპორტული აღზრდის შესანიშნავ კომპლექსურ საშუალებას.

შრომით საქმიანობაში მახარაძისა და სიღნაღის რაიონების მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის მიუხედავად მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფორიენტაციის საკითხი ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას. მოზარდი თაობის შრომით ტრადიციებზე აღზრდისათვის პედაგოგიური კოლექტივები სათანადოდ ვერ იყენებენ ისეთ შესაძლებლობებს, როგორცაა მათ სოფელში, რაიონში, მოსწავლეთა თვალწინ, სოციალისტური შრომის გმირების ყოველდღიური შრომა და ცხოვრება. „შრომითი მეოთხედის“ მტკიცედ დამკვიდრებასთან ერთად, რაიონის ზოგიერთ სკოლაში რატომღაც მივიწყებულ იქნა საწარმოო ბრიგადების საქმიანობის კარგი ტრადიცია და მოხდა მოსწავლეთა შრომითი აღზრდის ამ ორი ფორმის მექანიკური გაიგივება. ეს უარყოფითი ტენდენცია შეინიშნება რიგი სკოლების საქმიანობაში. ბევრ სკოლაში საწარმოო ბრიგადების დაკომპლექტებისას ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინტერესებსა და ადგილობრივი სამეურნეო თავისებურებებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან გაფორმებული ხელშეკრულებანი სხვადასხვა სახის სამუშაოთა შესრულების ვალდებულებათა შესახებ ცალმხრივ ხასიათს ატარებს; მათში არ არის გამოკვეთილი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მხრიდან საწარმოო ბრიგადებისადმი პრაქტიკული დახმარების გაწევის საკითხები. ზოგადასაგან-მანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მიზნით არასაკმარისადაა გამოყენებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებათა შესაძლებლობები. სკოლებში უფროსკლასელებთან ჩატარებული პროფორიენტაციული მუშაობა არ იძლევა გარანტიას მატერიალური წარმოების სფეროში კურსდამთავრებულთა მასიური დასაქმებისათვის. აღსანიშ-



ნავია, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე მოსწვლეთა შრომითი ზრდის საქმეში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

სიღნაღისა და მახარაძის რაიონების სახალხო განათლების ორგანოებს და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აქცენტი ძირითადად მასიური ღონისძიებების ჩატარებაზე გადააქვთ და სათანადო ყურადღებას არ უთმობენ აღმზრდელობითი მუშაობის ანალიზს, მის შედეგს, მოსწავლეებთან მუშაობას მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სიღნაღის რაიონის მაღაროს საშუალო სკოლაში პედაგოგიური კოლექტივის ინიციატივითა და მათი უშუალო მონაწილეობით ბავშვებისათვის მოეწყო შეხვედრა დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან. ღონისძიებების მომზადებაში (რამდენიმე აქტივისტის გამოკლებით) მონაწილეობა არ მიუღია მოსწავლეთა კოლექტივს. დარღვეული იყო ასაკობრივი მოთხოვნები. ღონისძიების ასეთნაირად მომზადება და ჩატარება ახშობს მოზარდების თვითმოქმედებასა და ინიციატივას და არა აქვს არავითარი აღმზრდელობითი ეფექტი. სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები მეტნაკლებად უმრავლესი სკოლებისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ ამიტომაც, რომ ხშირად ქალაქზე, გემებში, საკითხები საკმაოდ მრავალფეროვნად და საინტერესოდ გამოიყურებიან, მაგრამ მათ შესახებ მოსწავლეებმა თითქმის არაფერი იციან (მახარაძის რაიონის მაკვანეთის, ნაგომარის, მერიის, მელექვედურის. საშუალო სკოლები სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის, მაშნაარის, ბოდბისხევის საშუალო სკოლები, ბოდბეს რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი). აქვე უნდა დავძინოთ, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მიზნით სუსტადაა გამოყენებული სასკოლო ბიბლიოთეკების შესაძლებლობები. სათანადო ყურადღება არ ეთმობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიების და საქართველოს ალკცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1975 წლის 29 მაისის ერთობლივი დადგენილების („მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკებისა და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ — შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ კლასის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი

ფორმალურად ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. ამაზე თვალწინადად შეტყველებენ მათი სააღმზრდელო გეგმებიც, რომლებშიაც არ არის დაცული მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკის შესატყვისი ელემენტარული მოთხოვნები (მახარაძის რაიონის ნასაკირალის საშ. სკოლა — მე-7 კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაში 30 ღონისძიებაა გათვალისწინებული, მ. შ. 20 საუბარი, 3 კრება, დისპუტი და ა. შ. — გეგმა პრიმიტიულია და არარეალური. რაც მთავარია, ჩამოთვლილი საკითხების შესახებ ბავშვებმა არაფერი იციან. თითქმის ანალოგიური სურათია მელექედურის საშ. სკოლის მე-6 კლასის ხელმძღვანელის ნ. ხმაღაძის, კონჯკათის საშ. სკოლის მე-6 კლასის ხელმძღვანელის გ. მჭავიას, მაკვანეთის საშ. სკოლის მე-5<sup>1</sup> კლასის ხელმძღვანელის, ბოლნისის მე-3 საშ. სკოლის მე-10 კლასის ხელმძღვანელის მ. კალანდარიშვილის, სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელების თ. იასეშვილის, თ. ბეჟიაშვილის, ც. გელაშვილის, ნუკრიანის 1-ლი საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელების ლ. კოჭლამაზაშვილის, ნ. ტარყაშვილის, მადაროს საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელების თ. ძნელაშვილის, გ. აიშმელაშვილის, სამუშაო გეგმებში.

კლასის ხელმძღვანელებთან საუბრებმა დაგვარწმუნა, რომ ადგილებზე ვერ იყენებენ არსებულ მეთოდურ ლიტერატურას, დაბალ დონეზე დგას კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანებების საქმიანობა. ყველაფერი ეს განაპირობებს ფორმალიზმს აღმზრდელობით მუშაობაში.

სიღნაღისა და მახარაძის რაიონების სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობას ვერ წარმართვენ თანახმად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 10 ოქტომბრის კოლეგიის დადგენილებისა „მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში თბილისის 24-ე საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციისა და პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების შესახებ“.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ბევრ სკოლაში მოსწავლეთა შორის მუშაობა თანმიმდევრულ, გეგმაზომიერ, დიფერენცირებულ ხასიათს არ ატარებს. მიმდინარეობს ზო-

ვადად, ზერეღედ და ფორმალურად; არ ხდება ზნეობრივი აღზრდის მრავალფეროვანი ცოცხალი და თვალსაჩინო საშუალების გამოყენება. ყოველივე ამას თან სდევს ისიც, რომ მოსწავლეთა ის ნაწილი, რომელსაც ოჯახური და სხვა პირობების გამო განსაკუთრებით სჭირდება დიდფერენცირებული მიდგომა, დახმარება და მეთვალყურეობა, სათანადო კონტროლის გარეშე არიან დარჩენილები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის რეგოლაციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე აღზრდის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სკოლისგარეშე დაწესებულებებს. განსაკუთრებით პიონერთა სახლების საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ მახარაძისა და სიღნაღის რაიონების პიონერთა სახლებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული, მათი საქმიანობა ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით. აღნიშნული პიონერთა სახლები არ ითვლებიან რაიონში მეთოდურ-საინსტრუქტაჟო მუშაობის ცენტრებად. მეთოდური მუშაობის უკიდურესად დაბალმა დონემ განაპირობა ის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პიონერხელმძღვანელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცუდად ერკვევა პიონერული მუშაობის საკითხებში, უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით პიონერთა სახლები ვერ იყენებენ საბჭოურ რიტუალებს, სიმბოლიკას, პიონერულ ატრიბუტებს. პიონერთა სახლებთან წრეები შექმნილია ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად (სიღნაღის პიონერთა სახლში შექმნილია ფოტო და კინომოყვარულთა წრეები, ეს მაშინ, როცა ამ წრეებს სამუშაოდ არ გააჩნიათ საჭირო მოწყობილობა, ინვენტარი და არა აქვთ სათანადო პირობები. წრეების ხელმძღვანელებად ზოგჯერ ინიშნებიან გამოუცდელი, არაკომპეტენტური პიროვნებები. პიონერთა სახლებთან არსებულ წრეებში გაერთიანებულია მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა (მახარაძის პიონერთა სახლის სხვადასხვა წრეში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 2,3% ჩაბმული, ხოლო სიღნაღის პიონერთა სახლი ფაქტიურად მხოლოდ ერთი სკოლის მოსწავლეებისათვის მუშაობს). პიონერთა სახლების მიერ დროდადრო ჩატარებული ღონისძიებები პრიმიტიულია; მათში კამპანიურობა და ფორმალისში ჭარბობს. პიონერთა სახლები ვერ ახერხებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, სხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებ-

თან ერთად წარმატებით გადაჭრან ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ამოცანები. პიონერთა სახლების მუშაობის არაღამაკმაყოფილებელი დონე დირექტორების არაკომპეტენტურობითა და უპასუხისმგებლობით არის განპირობებული (მახარაძის პიონერთა სახლის დირექტორი გადაყვანილია სხვა სამუშაოზე). სიღნაღის პიონერთა სახლის დირექტორი ამხ. ე. საამიშვილი ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. აღნიშნულ თანამდებობაზე მისი დატოვება არ არის მიზანშეწონილი.

სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების დიდი უმრავლესობა თავიანთი გარეგნული იერით სასურველ ზეგავლენას ვერ ახდენენ მოზარდებზე. დერეფნებში, კაბინეტებში, დარბაზებში, პიონერთა ოთახებში გამოფენილ თვალსაჩინო მასალათა დიდ ნაწილს, არა აქვს არავითარი აღმზრდელობითი დანიშნულება. მოძველებულია და გაუმართლებელია ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისათვის მახარაძისა და სიღნაღის რაიონების პედაგოგიური კოლექტივების მიერ ჩატარებული მუშაობის შემოწმებამ დაგვარწმუნა, რომ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად განპირობებულია ადგილზე სახალხო განათლების ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიერ მომთხოვნელობის შესუსტებითა და არასათანადო კონტროლით.

სკოლების დირექტორები, მათი მოადგილეები, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორები. ჯერ კიდევ მკაცრ მომთხოვნელობას და თანმიმდევრობას ვერ იჩენენ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, არ ზრუნავენ აღმზრდელობითი მუშაობის სისტემის შექმნისათვის, სერიოზულ მუშაობას არ ეწევიან მასწავლებელთა კადრების თეორიული მომზადების დონის ასამაღლებლად, პედაგოგიური ოსტატობის დასახვეწად, მოსწავლე-ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის ეფექტიანობის ამაღ-

ლების მიზნით სკოლების ხელმძღვანელები, როგორც წესი, არ სწავლობენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებს, არ ახდენენ მათ პედაგოგიურ ანალიზს, თავიანთი მითითებებითა და რეკომენდაციებით არ აძლევენ სწორ მიმართულებას სკოლის საერთო ამოცანების შესრულებისათვის ყველა მუშაკს, რითაც აფერხებენ აღმზრდელობით მუშაობას. სახალხო განათლების განყოფილებები ვერ უწყევენ სათანადო დახმარებასა და კონტროლს პედაგოგიურ კოლექტივებს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის სრულყოფისათვის. მათ მიერ იშვიათად ხდება აღმზრდელობითი მუშაობის საკითხების შესწავლა, არ ახდენენ არსებული მდგომარეობის ანალიზს, ვერ სახავენ მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს, აღნიშნულ საკითხებს იშვიათად იხილავენ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე.

მახარაძისა და სიღნაღის რაიონებში სახალხო განათლების მუშაკების, იდგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ხელმძღვანელი ამხანაგების მონაწილეობით ადგილებზე ჩატარდა თათბირები. თათბირის მონაწილეებს გაეცნოთ შემოწმების შედეგები.

**მ. ზარაშა**

**მ. ბაჩილავა**

## განათლების სამინისტროს

1978 წლის 17 აპრილის

ბრძანება № 297

სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1978 წლის 22 თებერვლის № 26 ბრძანების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებითა შესახებ

ვაქვეყნებ სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1978 წლის 22 თებერვლის № 26 ბრძანებას „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკოლის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდგომ დადგენილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ“:

„სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიამ, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის აშ. ო. დ. ქინქლაძის ინფორმაცია და განიხილა საინსპექტორო შემოწმების მასალები, აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ორგანოებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკოლის თაობაზე პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილების შესასრულებლად. რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მუშაობას ეწევიან ლენინური თეორიული მემკვიდრეობის, პარტიისა და მთავრობის დოკუმენტების შესასწავლად. მოსწავლეები სისტემატურად სწავლობენ სკკპ XXV ყრილობის, სსრ კავშირის კონსტიტუციის მასალებს; სკოლების პედაგოგიური კოლექტივები დიდ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდისათვის. რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა აღზრდას საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე; ყველა საშუალო სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადება. სამხედრო ხელმძღვანელთა აბსოლუტური უმრავლესობა თადარიგის ოფიცრებია.

1973 წლიდან რესპუბლიკაში ხორციელდება ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლება ნაციონალურ საბავშვო ბაღებში, სადაც რუსულ ენას ეუფლება 4—6 წლის ასაკის 10 ათასზე მეტი ბავშვი.

ბავშვების ფართოდ ჩაბმამ მოსამზადებელ კლასებში, სადაც ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 57,9% მეცადინეობს, შესაძლებელი გახდა რუსული ენის სწავლების შემოღება ნაციონალურ სკოლაში პირველი კლასიდანვე.

პედაგოგიური კადრების განათლების დონე საკმაოდ მაღალია. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოფლის სკოლების მასწავლებელთა ხარისხობრივი შემადგენლობა.

ამადაც ერთად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებაში.

სკოლების მნიშვნელოვანი რაოდენობა მუშაობას განაგრძობს ავარიულ და დაქირავებულ შენობებში. ბევრ სკოლაში არ არის სასწავლო კაბინეტების აუცილებელი რაოდენობა. სასკოლო სასწავლო სახელოსნოების მატერიალური ბაზა არაადაქმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

მეცხრე ხუთწლედში არ შესრულებულა სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა. რესპუბლიკაში მხოლოდ ყოველი მეოთხე ბავშვი დადის სკოლამდელ დაწესებულებაში. ადგილი აქვს ჭგუფების მეტისმეტ გადატვირთვას, რაც გავლენას ახდენს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

არაადაქმაყოფილებლად სრულდება სასკოლო ინტერნატების მშენებლობის გეგმა. მოსწავლეთა დიდ ჭგუფებს არ აქვთ შესაძლებლობა იცხოვრონ სასკოლო ინტერნატებში, უზრუნველყოფილი არ არის სკოლაში მათი მოყვანის საქმე.

სკოლების უმრავლესობაში არ არის შექმნილი ნორმალური პირობები გახანგრძლივებულ დღის ჭგუფებში ბავშვთა ყოფნისათვის, შენობების უქონლობის გამო რიგ სამრეწველო ქალაქებში გახანგრძლივებულ დღის ჭგუფებზე მოსახლეობის მოთხოვნილება ვერ კმაყოფილდება. არ არის შესრულებული სოფლის მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის 1977 წლის



გეგმა. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მასწავლებლები დახელოვნების ინსტიტუტების მატერიალური ბაზა.

სერიოზული ნაკლოვანებებია მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების საქმეში. ამ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული სწავლებაში. თავი იჩინა VIII, IX კლასების მოსწავლეთა გამოშვების შემცირების ტენდენციამ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სათანადო ყურადღება არ ექცევა გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვების სწავლებას. არ წარმოებს ასეთი ბავშვების სათანადო აღრიცხვა; არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ბევრი მედიკო-პედაგოგიური კომისია ისეთი ბავშვების გამოსავლინებლად, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ სკოლებში სწავლებას. არ არსებობს სკოლები მეტყველების დეფექტების მქონე, სქოლიოზის, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთათვის და სხვ.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამო ყოველი მეათე მოსწავლე დროულად ვერ ამთავრებს რეაწლიან სკოლაში სწავლების კურსს.

არსებითი ნაკლოვანებებია ხელმძღვანელი და მასწავლებელთა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. შეიმჩნევა პედაგოგიური კადრების დიდი დენადობა სასოფლო რაიონებში, სადაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მასწავლებელთა დაახლოებით 40% შეიცვალა. არ არის საკმარისი ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის მასწავლებელთა რაოდენობა. ამავე დროს რესპუბლიკაში 7 ათასზე მეტი აღრიცხვაზე მყოფი მასწავლებელია.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები არ ეწევიან სასოფლო რაიონების სკოლების მოსწავლეებთან პედაგოგიურ პროფორიენტაციულ მუშაობას. არ სრულდება პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსგარეშე მიღების გეგმა: 1977 წელს დაგეგმილი იყო 253 კაცის მიღება, ხოლო ჩაირიცხა სოფლის სკოლების 68 კურსდამთავრებული.

იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა დაწყებით სკოლებში მასწავლებლებად მუშაობენ, ხოლო საშუალო და უფროს კლასებში რუსულ ენას ასწავლიან ისეთი პირები, რომელთაც არა აქვთ შესაბამისი განათლება. რესპუბლიკის განათლების სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სკოლამდელი აღზრდის



სპეციალისტთა განაწილებას, რის შედეგადაც ზოგ რაიონში შეიქმნა  
 ნევა ასეთი სპეციალისტების სიჭარბე, ზოგ რაიონში კი — მათი ნაკ-  
 ლეობა.

მასწავლებელთა დახელოვნების რიგი ინსტიტუტები არ ასრუ-  
 ლებენ პედაგოგიური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გეგმას.  
 სახალხო განათლების ორგანოები სათანადოდ არ აწარმოებენ მას-  
 წავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების აღრიცხვას, არასაკმაო  
 ყურადღებას აქცევენ რაიონის (ქალაქის) მეთოდკაბინეტის მუშაო-  
 ბას. მასწავლებელთა მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს გავლილი ახა-  
 ლი პროგრამების მიხედვით გადამზადების კურსები.

არ წარმოებს სათანადო აღმზრდელითი მუშაობა პედაგო-  
 გიურ კადრებთან, ვლინდება ლიბერალური დამოკიდებულება იმ  
 მასწავლებლებისადმი, რომლებმაც ამორალური საქციელი ჩაიდი-  
 ნეს. სამედიცინო გამოსაფხიზლებლებში მიყვანილთა შორის მას-  
 წავლებლებიც არიან.

შეიმჩნევა სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილებისა  
 და სკოლის დირექტორის ფორმალური მიდგომა სასწავლო-აღმზრ-  
 დელითი პროცესის ხელმძღვანელობისადმი. არ ხორციელდება  
 სათანადო კონტროლი და ხელმძღვანელობა სწავლების დონისა და  
 მოსწავლეთა ცოდნის ხარისხისადმი. სკოლების მნიშვნელოვან ნა-  
 წილში არ სრულდება ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების პროგრა-  
 მების პრაქტიკული ნაწილი. მიუხედავად რუსული ენის სწავლების  
 ერთგვარი გაუმჯობესებისა იმ სკოლებში, რომლებშიც სწავლება  
 ნაციონალურ ენაზე წარმოებს, რუსული ენის დაუფლების დონე  
 ჯერ კიდევ არადაამკმაყოფილებელია. რუსული ენის ყველა მასწავ-  
 ლებელი საკმაოდ კარგად როდი ფლობს ამ ენას. სწავლებაში შეიმ-  
 ჩნევა გრამატიკით გატაცება მოსწავლეთა სამეტყველო პრაქტიკის  
 საზიანოდ.

სახალხო განათლების ორგანოები და სკოლები საკმაო ყურა-  
 დლებას არ უთმობენ იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომი-  
 თი აღზრდის პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსურ მიდგო-  
 მას. ნაკლებად აყენებენ მოსწავლეთთან მუშაობის ინდივიდუალურ  
 ფორმებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.  
 სუსტია სკოლის კავშირი ოჯახსა და საზოგადოებრიობასთან. რეს-



პუბლიკაში მატულობს იმ მოზარდთა რაოდენობა, რომლებიც აღ-  
რიცხვაზე არიან მილიციის საბავშვო ოთახებში.

მოსწავლეთა შრომითი სწავლება, აღზრდა და პროფესიული  
ორიენტაცია რესპუბლიკაში არაღამაკმაყოფილებლად ხორციელ-  
დება. სახალხო განათლების ორგანოებს არ მიუღიათ სათანადო  
ზომები შრომითი სწავლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებ-  
ლად: სასწავლო სახელოსნოების, ავტოსაქმის, ტრაქტორისა და სა-  
სოფლო-სამეურნეო მანქანების სასწავლო კაბინეტების მოსაწყობ-  
ბად, სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელის შესაქმნელად;  
მათ ვერ შეძლეს შრომითი აღზრდის გაუმჯობესების საქმეში სა-  
წარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხრივ  
სკოლებისათვის კონკრეტული და ქმედითი დახმარების უზრუნ-  
ველყოფა. რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეებთან პროფორიენ-  
ტაციული მუშაობა ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდობის მომზა-  
დებას მატერიალური წარმოების სფეროში შრომისათვის, პროფე-  
სიის დასაბუთებული შერჩევისათვის. საქართველოს სსრ განათ-  
ლების სამინისტრო არ სწავლობს საკითხებს, რომლებიც დაკავში-  
რებულია საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა  
შრომით მოწყობასთან, და არ მოეპოვება ცნობები ამის შესახებ.  
სკოლის ბევრი კურსდამთავრებული ცხოვრებას იწყებს სათანადო  
შრომითი მომზადების გარეშე, არა აქვს საკმაო წარმოდგენა ძირი-  
თად მასობრივ პროფესიებზე და არ აცხადებს სახალხო მეურნეო-  
ბაში სამუშაოდ წასვლის სურვილს. რესპუბლიკის განათლების სა-  
მინისტროს, სახალხო განათლების ორგანოებს და სკოლებს არა აქვთ  
მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის შემდგომი განვი-  
თარებისა და მკაფიო სისტემის შექმნის კონკრეტული გეგმები.

რესპუბლიკის სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოე-  
ბის მუშაობაში არსებული ბევრი ნაკლი წარმოადგენს განათლების  
დაწესებულებათა მართვის დარგში საქართველოს სსრ განათლების  
სამინისტროს სუსტი საქმიანობის შედეგს. რესპუბლიკის განათლე-  
ბის სამინისტრო არასაკმაოდ ახორციელებს კონტროლს ზოგადსა-  
განმანათლებლო სკოლაში სასწავლო-აღმზრდებლობითი პროცესი-  
სადმი, ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენს სახალხო განათლების  
ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ მოსწავლეთა  
ცოდნის ხარისხისათვის, სწავლების მეთოდების სრულყოფისათ-

ვის, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის. არ არსებობს სახალხო განათლების ორგანოები და სკოლების მუშაობის დაგეგმვის გარკვეული, მკაფიო სისტემა, მიღებული დადგენილებების შესრულების სისტემატური კონტროლი და შემოწმება. საკმაო ყურადღება არ ექცევა შიდასაკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულყოფას, სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების მუშაობის შედეგების ანალიზს, სასკოლო ინსპექციის მუშაობის ეფექტიანობას.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს მიიღონ ზომები მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

2.1. დააჩქაროს ღონისძიებათა გეგმის შემუშავება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლების, აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილების შესასრულებლად. სისტემატური კონტროლი დააწესოს და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს მის შესრულებაში.

2.2. შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი რესპუბლიკის ყველა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ეფექტიანი შრომითი სწავლებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური წარმოების სფეროში შრომისათვის ახალგაზრდობის მომზადების გაუმჯობესებას სკოლასთან ახლომდებარე საწარმოთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების გამოყენების გათვალისწინებით, აგრეთვე ღონისძიებანი სასკოლათამორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სასწავლო საამქროების, სასკოლო სახელოსნოების, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისა და მოსწავლეთა სხვა შრომითი გაერთიანებების ქსელის განსავითარებლად.

2.3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამინისტროს აპარატის კადრების, აგრეთვე სახალხო განათლების ორგანოთა

მუშაკებისა და სკოლის ხელმძღვანელთა შერჩევის, განწესებისა და აღზრდის გაუმჯობესებას, აამაღლოს მათი მარტოგანიხებელი როლი.

2.4. შექმნას მეთავე ხუთწლედში სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების საჭირო რაოდენობა ყველა სამშალო და რვაწლიან სკოლაში.

2.5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების და სასკოლო ინტერნატების მუშაობას, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებას. მათში მოსწავლეთა ყოფნისათვის აუცილებელი პირობების შექმნას.

2.6. გააფართოოს გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე ბავშვთა სკოლების ქსელი, უზრუნველყოს „გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაში დეფექტების მქონე პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 17 იანვრის № 50 დადგენილების შესრულება.

2.7. შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს დამატებითი ღონისძიებანი სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად, მათგან მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. მიიღოს ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა კვალიფიციური კადრებით უზრუნველსაყოფად.

2.8. განამტკიცოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მატერიალური ბაზა.

2.9. აამაღლოს სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოების, სკოლის დირექტორების, მასწავლებლების, აღზრდელების პასუხისმგებლობა სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და შედეგებისადმი, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მათს იდეურ-პოლიტიკურ მომზადებასა და პროფესიული ოსტატობის ზრდას, პედაგოგიურ კოლექტივებში შექმნას პრინციპულობის, მომთხოვნელობის, ნდობისა და ურთიერთდახმარების ვითარება. გააძლიეროს კონტროლი მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე, მათი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მდგომარეობაზე.

2.10. გააუმჯობესოს რუსული ენის სწავლების ხარისხი, აამაღლოს რუსული ენის მასწავლებელთა ენობრივი და მეთოდური მომზადების დონე.

2.11. გამახვილოს სახალხო განათლების განყოფილებების, სკოლებისა და განათლების სხვა სასწავლო-აღმზრდელი დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივების ყურადღება ბავშვების ინდივიდუალური აღმზრდელითი მუშაობის გაძლიერებაზე, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაზე.

2.12. აამღლოს ორგანიზაციული მუშაობის დონე საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების საქმეში. მიიღოს ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან და მომუშავე ახალგაზრდობის სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის შემდგომი შემცირებისათვის.

2.13. გააუმჯობესოს მუშაობა მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სხვა პედაგოგიური კადრების შერჩევის, განწესებისა და აღზრდის დარგში. განახორციელოს ღონისძიებანი მასწავლებლების, აღმზრდელების, სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების გასაუმჯობესებლად; შეისწავლოს და განაზოგადოს თვითგანათლების საუკეთესო გამოცადილება.

2.14. მიიღოს ზომები სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, სკოლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელითი დაწესებულებების მუშაობის სტილისა და მეთოდების მუდმივი სრულყოფისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დაგეგმვის სრულყოფას, შეიდასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებას, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ნორმატიული და საინსტრუქციო მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესრულებას ადგილებზე.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1979 წლის 1 მარტამდე.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სახალხო განათლების მთავარ ინსპექციას (ამხ. თ. ი. პუზირევი).

**მინისტრი**

**მ. ა. პროკოფივი**



სსრ კავშირის განათლების მინისტრის აღნიშნული ბრძანების შესრულების მიზნით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1978 წლის 22 თებერვლის ბრძანება № 26 „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკოლის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდგომ დადგენილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის შესახებ“.

2. აღინიშნოს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების სრულყოფის შესახებ“ განხილულ იქნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალურ გაფართოებულ კოლეგიის სხდომაზე და დაისახა მისი განხორციელების ღონისძიებანი.

3. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1978 წლის 22 თებერვლის ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა დროული აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შემუშავებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის განათლების მინისტრის აღნიშნული ბრძანებით და მის უზრუნველსაყოფად შემუშავებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმით, რომლებიც საფუძვლად დაუდონ თავიანთ ყოველდღიურ კონკრეტულ საქმიანობას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სწავლებისა და აღზრდის ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით.

5. ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა ანგარიში სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1978 წლის 22 თებერვლის ბრძანებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამის ღონისძიებათა გეგმის განხორციელების შესახებ წარმოადგინონ 1979 წლის 20 იანვრისათვის.

6. სკოლების სამმართველომ და სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. ამხ. გ. ფანჭულიძე, კ. სუჯაშვილი) სისტემატური კონტროლი დააწესონ სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1978 წლის 22 თებერვლის, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის შესაბამისი ბრძანებისა და ღონისძიებათა გეგმის განხორციელების შესრულებაზე.

7. აღნიშნული ბრძანება და ღონისძიებათა გეგმა გამოქვეყნდეს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1978 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება.

**მინისტრი**

**მ. ჭინჭაძე**



„ვამტკიცებ“

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი  
ო. დ. გინძვალაძე

30 მარტი 1978 წ.

### დონისქიებები

იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა, რომლებიც აღნიშნული იყო სსრკ განათლების სამინისტროს 1978 წლის 22 თებერვლის №26 ბრძანებაში „საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მუშაობის შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს შემდგომ დადგენილებათა“ შესასრულებლად“.

1. ავარიული შენობებიდან რიგი სკოლების გამოყვანის მიზნით შესწავლილ და წარმოდგენილ იქნას წინადადებანი სასკოლო შენობების დამატებით მწყობრში ჩადგომის შესახებ.

#### 1978 წ. ივნისი

#### კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

2. 1979 წელს დამთავრდეს: ქალაქის საშუალო სკოლებში საჭირო რაოდენობის სასკოლო კაბინეტების შექმნა და რვაწლიან სკოლებში კი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობა. 1978 წლისათვის 10 აგვისტომდე ყველა სასოფლო რაიონის სახალხო განათლების განყოფილებებმა შეიმუშაონ სასკოლო კაბინეტების შექმნის კალენდარული პერსპექტიული გეგმა იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაო საშუალო სკოლებში დამთავრდეს 1980 წელს.

მიღებულ იქნას ზომები სკოლების სასწავლო სახელოსნოების მატერიალური ბაზის გასამტკიცებლად და მათი საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფისათვის.

#### 1978—1980 წ. წ.

#### სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო

3. განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების განყოფილების ინსპექტორებმა და სკოლების ხელმძღვანელებმა კაბინეტ-

ბის მდგომარეობის შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათი ყველაზე საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფის საკითხს.

### სისტემატურად

### ინსპექცია

### სკოლების სამმართველო

4. შესწავლილ იქნას საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, სასკოლო ინტერნატების და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები.

წარმოდგენილ იქნას კონკრეტული მოსაზრებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასკოლო ინტერნატების და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის 1978—1980 წ. წ. გეგმის შესრულება, მიღებულ იქნას დამატებითი ღონისძიებები სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გასაფართოებლად, მათი მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად (სათანადო სამინისტროების და უწყებების მონაწილეობით).

1978 წ. ივნისი

კაპიტალური მშენებლობის სამმართველო,  
სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

5. განხილულ იქნას კოლეგიაზე ცენტრალური და მასწავლებელთა დახელოვნების სხვა ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

1978 წ. მარტი

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, სკოლების სამმართველო, მომარაგების და დამხმარე საწარმოების მთავარი სამმართველო, ასსრ განათლების სამინისტროები და სახალხო განათლების განყოფილებები

6. შესწავლილ იქნას განახგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის პირობები და მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის მდგომარეობა, საჭიროება და რაციონალური განლაგება, სას-

წავლო-აღმზრდებლობითი მუშაობის მდგომარეობა. მიღებულ იქნას სათანადო ზომები მათი მუშაობის პირობების ნორმალიზაციისათვის.

**1978 წ.**

**აპრილი—მაისი**

**სკოლების სამმართველო**

7. ჩატარდეს ყველა იმ პირის აღწერა, რომლებსაც არა აქვთ დასრულებული საშუალო განათლება და შემუშავდეს წინადადება-ნი მათ სასწავლებლად ადგილობრივი აღმასკომების, სამრეწველო დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და ა. შ. მკიდრო თანამშრომლობის გათვალისწინებით.

**1978 წ. ივნისი**

**სალამოსა და სპეციალური სკოლების სამმართველო**

8. შემუშავდეს ღონისძიებანი სალამოს და დაუსწრებელი სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის შესამცირებლად და სასწავლო-აღმზრდებლობითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით.

ჩატარდეს მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი ერთი მოწინავე და ერთი ჩამორჩენილი რაიონისა, რომლებსაც მუშაობის ერთნაირი პირობები გააჩნიათ.

შემოღებულ იქნას პრაქტიკაში სალამოს და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო წლის შედეგების განხილვა კოლეგიაზე.

**1978 წ. ოქტომბერი**

**სალამოსა და სპეციალური სკოლების სამმართველო**

9. იმ ანომალურ ბავშვთა გამოვლენის მიზნით, რომლებიც არ ექვემდებარებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლებას, დაევალოს საოლქო-ზონალურ და რესპუბლიკურ მედიკო-პედაგოგიკურ კომისიებს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I-II კლასების მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენის მიზეზები.

1978 წ. ივნისი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

10. გაიზარდოს ზონალური მედიკო-პედაგოგიკური კომისიების რაოდენობა (დაკომპლექტდეს მედიკო-პედაგოგიკური კომისია სიღნაღსა და ჭიათურაში).

1978 წ. ივნისი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

11. ქ. რუსთავის რეაწლიანი სკოლა-ინტერნატის ბაზაზე გაიხსნას სკოლა-ინტერნატი სქოლიოზით დაავადებული ბავშვებისათვის, ქ. გურჯაანის სკოლა-ინტერნატის ბაზაზე კი სკოლა-ინტერნატი საყრდენ-სამოძრაო აპარატის მოშლილობის მქონე ბავშვებისათვის.

1978 წ. სექტემბერი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

12. წარმოდგენილ იქნას წინადადებები მეტყველებამოშლილი ბავშვებისათვის ქ. თბილისში სკოლის გახსნის თაობაზე.

1978 წლის ივნისი

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

13. სკოლის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სისტემატურად მოწმდებოდეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ 1978—80 წლებისათვის მოცულ იქნას რესპუბლიკის ყველა რაიონი.

1978—1980 წ. წ.

სკოლების სამმართველო

14. სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის მიზნით დამუშავდეს რეკომენდაციები მეთოდკაბინეტების მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

**1978 წლის მარტი**

**სკოლების სამმართველო, მასწავლებელთა  
დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი**

15. შესწავლილ იქნას რესპუბლიკის რიგ რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლება, გაანალიზდეს არსებული ნაკლოვანებები და წარმოდგენილ იქნას წინადადებები.

**თებერვალი—მაისი 1978 წ.**

**სკოლების სამმართველო**

16. განათლების განყოფილებებმა შეადგინონ იმ მოსწავლეთა სიები, რომლებიც საჭიროებენ ტრანსპორტს, დასვან საკითხი აღმასკომის წინაშე და უზრუნველყონ მათი სამგზავრო მომსახურება.

**1978 წ. მარტი—სექტემბერი**

**ასსრ განათლების სამინისტროები, განათლების განყოფილებები**

17. შემუშავებულ იქნას ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა რაიონების მიხედვით იმ მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩასაბმელად, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი განათლება. გათვალისწინებულ იქნას 1978—1980 წ. წ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV—X კლასების ძირითადი საგნების, მათ შორის შრომითი სწავლების მასწავლებელთა სწავლებაში ჩაბმის ღონისძიებათა განხორციელება, გაძლიერდეს კონტროლი სოფლის მასწავლებელთათვის დადგენილი შეღავათებისა და უპირატესობათა დასაცავად.

წარდგენილ იქნას მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებები მათი სათბობითა და ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად დადგენილი ნორმების გადასახედავად.

18. შესწავლილ იქნას სკოლამდელი აღზრდის დარგში სპეციალისტთა საჭიროების საკითხი და მომზადდეს შესაბამისი წინადადებები უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტში წარსადგენად.

**1978 წ. მაისი—ივნისი**

**კადრების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო**

19. გამრავლდეს და ადგილებზე დაიგზავნოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1975 წლის 20-01-7-მ. წერილი „ახალგაზრდობის პედაგოგიური პროფორიენტაციისა და უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ჩასაბმელად შერჩევა“.

